პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ორშაბათი
10 ივნისი
1940 წ.
№ 132 (5833)
ფასი 10 კაპ.

ეროვნული

გუშინ საქართველოს სს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ დაამთავრა თავისი მუშაობა.

ახალი გამარჯვებებისაკენ

გუშინ მუშაობა დაამთავრა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ. დეპუტატებმა მთელი სერიოზულობით, ბოლშევიკური საქმიანობით განიხილეს საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. ქ. ციმაკურიძის მოხსენება საქ. სს რესპუბლიკის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე და 1938-1939 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ამხ. გ. ნარსიას თანამოხსენება. კამათში მონაწილეობა მიიღო 34 დეპუტატმა.

დეპუტატები სიხარულის უდიდესი გრძნობით ლაპარაკობდნენ იმ დიად გამარჯვებებზე, რომელნიც საქართველოს მშრომელებმა მოიპოვეს სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე **ლენინ-სტალინის** ძლევამოსილი პარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენი დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** ყოველდღიური მზრუნველობითა და დახმარებით, საქართველოს საამაყო შვილის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** უშუალო ხელმძღვანელობით.

უდიდესი აღორძინება განიცადა საქართველოს სახალხო მეურნეობამ. წინათ ჩამორჩენილი მეფის ყოფილი კოლონია — საქართველო ამჟამად გადაქცეულია საბჭოთა კავშირის ერთერთ მოწინავე რესპუბლიკად; იგი წარმოადგენს ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყანას, შექმნილია მრეწველობის სრულიად ახალი დარგები: მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკური, საქსოვი, ნავთის და სხვ. ამავე დროს განუწყვეტლად სწარმოებს საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი აყვავება, სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების საფუძველზე მტკიცედ იზრდება საკოლმეურნეო გლეხობის კეთილდღეობა.

ორდენოსანი საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, იწონებდნენ რა წარმოდგენილ ბიუჯეტს, ამასთანავე აღნიშნავდნენ იმ ნაკლოვანებებს, რასაც ადგილი ჰქონდა გასული წლების ბიუჯეტთა შესრულების საქმეში და მიუთითებდნენ ნაკლთა გამოსწორების კონკრეტულ გზებზე.

სესიამ ერთსულოვნად დაამტკიცა საქართველოს სს რესპუბლიკის 1940 წლის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავალს 1.227.451 ათასი მანეთის რაოდენობით. ეს ციფრი ნათლად გვიჩვენებს როგორც იმ დიად სამეურნეო და კულტურულ გამარჯვებებს, რომელნიც მოპოვებულია ბოლშევიკთა სახელოვანი პარტიის ბრძნული წინამძღოლობით, ისე მესამე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის სამუშაოთა გრანდიოზულ პროგრამას.

ჩვენი ბიუჯეტის შემოსავლის ძირითადი წყაროებია ანარიცხები ბრუნვის გადასახადიდან და სახალხო მეურნეობის მოგების ანარიცხი, რაც შემოსავლის 57 პროც. მეტს შეადგენს. ბიუჯეტის ამ ნაწილის შესრულება სავსებით დამოკიდებულია საწარმოთა მიერ პროდუქციის გამოშვებისა და საქონელბრუნვის გეგმების წარმატებით შესრულებაზე. ამიტომ ჩვენი სახალხო მეურნეობის თვითეული მუშაკი უნდა ხედავდეს მისი საწარმოს (მეურნეობის) გეგმის შესრულების უშუალო კავშირს მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასთან. აქედან გამომდინარეობს თვითეული ჩვენი სამეურნეო მუშაკის საბრძოლო ამოცანა — მიაღწიოს შრომის ნაყოფიერების შემდგომ ამაღლებას, დანაკარგების მაქსიმალურად შემცირებას, წუნის აღმოფხვრას, ზედნადები ხარჯების მინიმუმამდე დაყვანას. თვითეული ხელმძღვანელი მუშაკი უნდა ხედავდეს, რომ ამ ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლა იმავე დროს არის ზრუნვა ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის ზურგის შემდგომი გამაგრებისათვის. ჩვენმა სამეურნეო მუშაკებმა უნდა ისწავლონ მანეთებით ანგარიში, გახდნენ ჭეშმარიტად სახელმწიფო მოღვაწენი, მომჭირნე მუშაკები, რომელთაც შესწევთ უნარი თავიანთი ყოველდღიური ამოცანების გადაწყვეტა დაუკავშირონ მთელი ქვეყნის, ხალხის ინტერესებს.

ბიუჯეტის გასავლის უდიდესი ნაწილი, ე. ი. 69 პროცენტამდე გათვალისწინებულია დაიხარჯოს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე — სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეზე. სესიაზე აღინიშნა, რომ გასულ წელს განსახკომმა ვერ აითვისა გათვალისწინებული თანხიდან 8.069 ათასი მანეთი, ანუ მიცემული თანხის 4,3 პროცენტი. ასეთივე ჩამორჩენა ჰქონდა ჯანსახკომსაც. ეს ნაკლი აიხსნება არა მარტო აღნიშნული კომისარიატების სუსტი მუშაობით, არამედ თვით ფინსახკომის ნაკლები კონტროლითაც, რის გამო დროულად ვერ იქნა მიღებული ზომები შემჩნეული ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად. მსგავს ნაკლოვანებათა თავიდან აცილებას ამთავითვე უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. სოციალურ-კულტურული მშენებლობისათვის გათვალისწინებული თანხები გამოყენებულ უნდა იქნას მთლიანად და მაქსიმალური ნაყოფიერებით.

სახალხო მეურნეობის დაფინანსებაზე ბიუჯეტით დაიხარჯება 260 მილიონ მანეთზე მეტი. მარტო კაპიტალური მშენებლობის დაფინანსებისათვის გათვალისწინებულია 97.407 ათასი მანეთის დახარჯვა. ამ საქმეში წინათ ადგილი ჰქონდა სერიოზულ ნაკლოვანებებს. საამშენებლო ორგანიზაციები არღვევდნენ მშენებლობის ვადებს, აშენებდნენ ცუდი ხარისხით, უშვებდნენ გეგმის გარეშე დანაკარგებს, ხელფასის ფონდის გადახარჯვას და სხვ.

ამიტომ საჭიროა ამთავითვე იქნას მიღებული ზომები კაპიტალური მშენებლობისათვის გათვალისწინებული თანხების მიზანშეწონილად გამოყენებისათვის. გადაჭრით უნდა აღმოიფხვრას საამშენებლო ორგანიზაციების უხეირო მუშაობა, მშენებლობის ვადების დარღვევა, შენების ცუდი ხარისხი, გეგმის გარეშე დანაკარგები, ხელფასის ფონდის გადახარჯვა და სხვ. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს შრომის უკეთესად მოწესრიგებას, სტახანოვური მოძრაობის შემდგომ გაშლას, ხელგაშლილობისა და უყაირათობის აღმოფხვრას, მომჭირნეობის დანერგვას.

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შესრულებულ უნდა იქნას გადაჭარბებით. ამისათვის თავდადებით უნდა იბრძოდნენ არა მარტო საფინანსო ორგანოები, არამედ თვითეული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაცია. რაც უფრო მეტია შემოსავალი, მით უფრო მეტი საშუალება გვექნება ჩვენი სახალხო მეურნეობის კულტურული მშენებლობის დაფინანსებისათვის, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის. ეს კარგად უნდა ახსოვდეს თვითეულ ხელმძღვანელ მუშაკს.

სესიამ ერთხმად მიიღო დადგენილება საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ზოგ მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ. ამასთანავე დამტკიცებულ იქნა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ის ბრძანებულებები, რომელნიც მიღებულ იქნა მეორე და მესამე სესიებს შორის.

საქართველოს სს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია დაიხურა. ეჭვი არ არის, ჩვენი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვ. ორგანიზაციები ბოლშევიკურად მოაწყობენ ბრძოლას სესიის გადაწყვეტილებათა გაუხრელად განხორციელებისათვის და ამით უზრუნველჰყოფენ მესამე სტალინური ხუთწლედის გეგმების შესრულებას, ორდენოსანი საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომ აყვავებას.

შეთანხმება საზღვრის დაზუსტების შესახებ შარშანდელი კონფლიქტის რაიონში მდინარე ხალხინ გოლზე

იმ მოლაპარაკების შედეგად, რომელიც უკანასკნელ ხანს მიმდინარეობდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ვ. მ. მოლოტოვსა და იაპონიის ელჩ ბ-ნ ტოგოს შორის, შეთანხმებულ მხარეთა, როგორც საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის, ისე იაპონია-მანჯოუგოს, ინტერესების ურთიერთ აღიარებით, 9 ივნისს მიღწეულია შეთანხმება შარშანდელი კონფლიქტის რაიონში საზღვრის დაზუსტების საკითხზე,—იმ საკითხზე, რომელიც თავის დროზე არ ყოფილა გადაწყვეტილი საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის და იაპონია-მანჯოუგოს ხსენებულ რაიონში საზღვრის დამზუსტებელ შერეული კომისიის მიერ და აბრკოლებდა სსრ კავშირისა და იაპონიის, აგრეთვე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და მანჯოუ-გოს ურთიერთობის მოწესრიგების საქმეს. (საკდესი).

დაიწყო სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება

სიღნაღი, („კომუნისტის“ კორ.). „ზაგოტზერნოს“ წნორის განყოფილებამ 8 ივნისს დაიწყო კოლმეურნეობებიდან მარცვლეულის მიღება. „ზაგოტზერნო“ მომზადებული შეხვდა მარცვლეულის მიღებას. მარცვლეულისათვის ყოველმხრივ მზად არის 4 საწყობი, 4.500 ტონის ტევადობით. საკმარისი რაოდენობით არის აგრეთვე სასწორები.

პირველი განაღდი ქერი 3.670 კილოგრამის რაოდენობით „ზაგოტზერნოს“ 8 ივნისს ჩააბარა წნორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ბ. მჭედლიშვილი).

მარცვლეულის ჩაბარება გრძელდება.

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. **ი. ხ. შიროკოვი** გაათავისუფლა ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის მოვალეობისაგან. (საკდესი).

საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის 1940 წლის 9 ივნისის დილის სხდომის შესახებ

გუშინ, დილის 11 საათზე, გრიბოედოვის სახელობის თეატრში გაიხსნა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მეოთხე სხდომა.

თავმჯდომარეობდა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ი. დ. კოჩლამაზაშვილი.**

სხდომაზე გრძელდებოდა საქართველოს სს რესპუბლიკის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სს რესპუბლიკის 1938 და 1939 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე გაკეთებული მოხსენების განხილვა.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: **ვ. ა. ჯიბლაძე** (წულუკიძის რაიონის გორდის ოლქი), **ქ. ა. ფაღავა** (გეგეჭკორის რაიონის ბანძის ოლქი), **მ. დ. ჩუბინიძე** (ქალაქ თბილისის საბჭოთა ოლქი), **ნ. ა. ჯინჭარაძე** (ქუთაისი — ვოროშილოვის ოლქი), **გ. ქ. კირიაკოვი** (ლუქსემბურგის რაიონის ლუქსემბურგის ოლქი), **ბ. ვ. გოგუა** (ლანჩხუთის რაიონის ლანჩხუთის ოლქი), **შ. გ. მაისურაძე** (მაიაკოვსკის რაიონის ბაღდათის ოლქი), **ი. ს. ბერიტაშვილი** (თბილისის რაიონის მარტყოფის ოლქი), **ლ. ვ. ჩხიკვიშვილი** (ჩოხატაურის რაიონის დაბლა ციხის ოლქი), **ი. ს. ფრანგულიანი** (წალკის რაიონის კუშჩის ოლქი), **გ. ა. ალავიძე** (აფხაზეთის ასსრ — გალის ოლქი), **ი. ო. მოსაშვილი** (სიღნაღის რაიონის სიღნაღის ოლქი), **დ. ნ. ჩიკვაიძე** (ტყიბულის რაიონის ტყიბულის ოლქი), **ე. დ. ჯვებენავა** (ადიგენის რაიონის მლაშის ოლქი), **შ. ვ. კოჩლაძე** (ალგულალის რაიონის მანგლისის ოლქი), **ა. გ. ჯაფარიძე** (ონის რაიონის სორის ოლქი).

შემდეგ დეპუტატ **ი. ნ. შამუგიას** შემოაქვს წინადადება — შესწყდეს კამათი საქართველოს სს რესპუბლიკის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სს რესპუბლიკის 1938 და 1939 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე გაკეთებული მოხსენების გამო.

სესია ერთხმად იღებს დეპუტატ ი. ნ. შამუგიას წინადადებას.

ამით მთავრდება საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მეოთხე სხდომა (საქდესი).

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის 1940 წლის 9 ივნისის საღამოს სხდომის შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მეხუთე სხდომა შესდგა 9 ივნისს, საღამოს 7 საათზე, გრიბოედოვის სახელობის თეატრში.

თავმჯდომარეობდა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ი. დ. კოჩლამაზაშვილი.**

დღის წესრიგშია საქართველოს სს რესპუბლიკის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება.

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ისმენს მომხსენებლის—საქართველოს სს რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისრის დეპუტატ **ქ. ს. ციმაკურიძისა** და თანამომხსენებლის — საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **გ. ე. ნარსიას** საბოლოო სიტყვებს.

შემდეგ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო გადადის საქართველოს სს რესპუბლიკის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კენჭისყრასა და დამტკიცებაზე.

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო იღებს დეპუტატ **გ. ე. ნარსიას** წინადადებას — განხილულ და დამტკიცებულ იქნას საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი და გასავალი კარობრივ.

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო მუხლობრივი კითხვის წესით ერთხმად ამტკიცებს მუხლობრივ, ხოლო შემდეგ მთლიანადაც — „კანონს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.

შესვენების შემდეგ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ, დეპუტატ **ქ. ს. ციმაკურიძის** წინადადებით, დაამტკიცა საქართველოს სს რესპუბლიკის 1938 და 1939 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახები ანგარიშები.

შემდეგ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო შეუდგა სესიის დღის წესრიგის მეორე და მესამე საკითხთა განხილვას.

მოხსენება ამ საკითხებზე — საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ზოგიერთი მუხლების შეცვლისა და შევსების შესახებ და საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც მიღებულია მეორიდან მესამე სესიამდე გასულ პერიოდში და რომლებიც უნდა დამტკიცებულ იქნან საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ — გააკეთა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა **ვ. ი. ეგნატაშვილმა.**

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ერთხმად იღებს „კანონს საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 13, 19, 50, 55, 87 და 94 მუხლების შეცვლისა და შევსების შესახებ“, იმასთან დაკავშირებით, რომ კარელიის ასსრ გარდაიქმნა მოკავშირე კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად; სოფელ ბაღდათს დაერქვა სოფელი მაიაკოვსკი და ბაღდათის რაიონს მაიაკოვსკის რაიონი. შეიქმნა საქართველოს სს რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატი; აგრეთვე საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) 87 და 94 მუხლების რედაქციის დაზუსტებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს იმის შესახებ, რომ

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისრად დაინიშნა **გიორგი ანდრიას-ძე ჯაბუა;**

საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისრად—**ლონგინოზ ალექსანდრეს-ძე რუხაძე;**

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისრად — **პეტრე გიორგის-ძე რთველაძე;**

საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისრად **ლავრენტი ივანეს-ძე ჩიგურდანიძე;**

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულად საქართველოს სს რესპუბლიკაში—**იასონ ნიკოლოზის-ძე ნადარაია;**

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს აგრეთვე საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას იმის შესახებ, რომ ქორწინების, ოჯახისა და მეურვეობის კანონთა კოდექსის მე-77 მუხლი აღიარებულია ძალადაკარგულად.

სესიის თავმჯდომარე—საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ი. დ. კოჩლამაზაშვილი** აუწყებს სესიას, რომ მესამე სესიის დღის წესრიგი ამოწურულია, და საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიას დახურულად აცხადებს (საქდესი).

სესიის სხდომის დარბაზიდან

სამი სხდომა მოანდომა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვას. მრავალმა დეპუტატმა მიიღო მონაწილეობა ამ განხილვაში. საინტერესო და შინაარსიანი იყო კამათში გამოსული ყველა დეპუტატის სიტყვა, ყველა აღნიშნავდა ჩვენს დიდ მიღწევებს, ბრწყინვალე გამარჯვებებს და ამავე დროს ყველანი მოითხოვდნენ საშუალებებს ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი, ახალი და კიდევ უფრო გრანდიოზული გამარჯვებებისათვის.

ასეთი იყო დეპუტატების ვ. ჯიბლაძის, ქ. ფაღავას, მ. ჩუბინიძის, ნ. ჯინჭარაძის, გ. კირიაკოვის, ბ. გოგუას, შ. მაისურაძის, ი. ბერიტაშვილის, ლ. ჩხიკვიშვილის, ი. ფრანგულიანის, გ. ალავიძის, ი. მოსაშვილის, დ. ჩიკვაიძის, ე. ჯვებენავას, შ. კოჩლაძის, ა. ჯაფარიძის და სხვ. სიტყვები.

დამთავრდა ბიუჯეტის პროექტის განხილვა და მომხსენებლების — საქ. ფინანსთა სახალხო კომისრის **ქ. ციმაკურიძისა** და საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **გ. ნარსიას** საბოლოო სიტყვების შემდეგ სესია გადავიდა ბიუჯეტის საბოლოო პროექტის კენჭისყრაზე შემოსავალ-გასავლის კართა მიხედვით.

საბჭოთა სოციალისტური პარლამენტისათვის დამახასიათებელი ერთსულოვნებით მიიღო და დაამტკიცა სესიამ საქართველოს სს რესპუბლიკის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომელსაც ამიერიდან უკვე კანონის ძალა აქვს.

ასევე ერთსულოვნად დაამტკიცა სესიამ 1938 და 1939 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.

დიდი ყურადღებით მოისმინა სესიამ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ ვ. ეგნატაშვილის მოხსენება საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციის ზოგ მუხლში ცვლილებების შეტანისა და მეორე სესიიდან მესამე სესიამდე განვლილ პერიოდში საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გამოცემულ ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

სესიამ ერთხმად მიიღო და დაამტკიცა საქართველოს კონსტიტუციის ზოგ მუხლში შეტანილი ცვლილებები და აგრეთვე მეორე სესიიდან მესამე სესიამდე მიღებული ბრძანებულებები.

სესიის მიერ ამ საკითხის განხილვისას გამოვლინებული ერთსულოვნობა—ეს იყო დემონსტრაცია საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისა და უძლეველობისა.

5 სხდომაზე სესიამ განიხილა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საკითხები, განიხილა და მოაწესრიგა უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო საკითხები. ამიტომ იყო, რომ ერთსულოვანი ტაშითა და დიდი **სტალინისადმი** მიმართული მისასალმებელი შეძახილებით შეხვდნენ დეპუტატები თავმჯდომარის განცხადებას სესიის მუშაობის დამთავრების შესახებ.

წითელი არმიის უმაღლესი უფროსი შემადგენლობისათვის სამხედრო სახელწოდებათა მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება*

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს მთავრობის კომისიის წინადადებანი წითელი არმიის უმაღლესი უფროსი შემადგენლობის პირთათვის იმ სამხედრო სახელწოდებათა მინიჭების შესახებ, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით.

XIII

მიენიჭოს გენერალ-მაიორის სახელწოდება:

67. ვასილ ივანეს-ძე **ვინოგრადოვს,**
68. სერგი ვლადიმერის-ძე **ვიშნევსკის,**
69. ახდრია ანდრიას-ძე **ვლასოვს,**
70. ალექსანდრე ტიმოთეს-ძე **ვოლჩკოვს,**
71. ალექსანდრე ალექსის-ძე **ვოლხინს,**
72. ვასილ ფროლის-ძე **ვორობიოვს,**
73. პავლე იონას-ძე **ვორობიოვს,**
74. ვასილ გრიგოლის-ძე **ვორონცოვს,**
75. ვლადიმერ ივანეს-ძე **ვოსტრუხოვს,**
76. მიხეილ ფილიპეს-ძე **გავრილოვს,**
77. სერგი გაბრიელის-ძე **გალაქტიონოვს,**
78. ივანე ვასილის-ძე **გალანინს,**
79. კუზმა ნიკიტას-ძე **გალიცკის,**
80. ნიკოლოზ ივანეს-ძე **გაპიჩს,**
81. ალექსანდრე ვასილის-ძე **გარნოვს,**
82. ანტონ იოსების-ძე **გასტილოვიჩს,**
83. ალექსანდრე ვლადიმერის-ძე **გვოზდკოვს,**
84. შაქირ ნიგმატულინის-ძე **გენიატულინს,**
85. ივანე მიხეილის-ძე **გერასიმოვს,**
86. ალექსი ალექსანდრეს-ძე **გლაზკოვს,**
87. ვასილ ათანასეს-ძე **გლაზუნოვს,**
88. პეტრე ევსტიგნეის-ძე **გლინსკის,**
89. ნიკოლოზ მიხეილის-ძე **გლოვაცკის,**
90. მიხეილ ივანეს-ძე **გლუხოვს,**
91. კონსტანტინე დიმიტრის-ძე **გოლუბევს,**
92. კონსტანტინე ტიმოთეს-ძე **გონჩარუკს,**
93. ვასილ ნიკოლოზის-ძე **გორდოვს,**
94. იუდელ ლეონტის-ძე **გოროდინსკის,**
95. ავქსენტი მიხეილის-ძე **გოროდნიანსკის,**
96. კუზმა ილიას-ძე **გორიუნოვს,**
97. სერგი გიორგის-ძე **გორიაჩევს,**
98. ალექსი ივანეს-ძე **გოტოვცევს,**
99. ალექსი ალექსანდრეს-ძე **გრეჩკინს,**
100. მიხეილ ფროლის-ძე **გრიგოროვიჩს,**
101. მიხეილ სტეფანეს-ძე **გრომადინს,**
102. ალექსანდრე ივანეს-ძე **გულიევს,**
103. დიმიტრი ნიკოლოზის-ძე **გუსევს,**
104. დიმიტრი ივანეს-ძე **გუსტიშევს,**
105. პეტრე დანიელის-ძე **დავიდოვს,**
106. ვასილ ნიკიტას-ძე **დალმატოვს,**
107. ალექსი ილიას-ძე **დანილოვს,**
108. სერგი ევლამპის-ძე **დანილოვს,**
109. ნიკოლოზ ალექსის-ძე **დედაევს,**
110. ალექსანდრე ნიკოლოზის - ძე **დე-ლაზარის,**
111. კონსტანტინე ლეონიდეს-ძე **დობროსერდოვს,**
112. მიხეილ ივანეს-ძე **დრატვინს,**
113. ნიკოლოზ მიხეილის-ძე **დრეიერს,**
114. ნიკოლოზ სერგის-ძე **დრონოვს,**
115. ნიკოლოზ ივანეს-ძე **დუბინინს,**
116. მიხეილ გიორგის-ძე **დუბკოვს,**
117. მიხეილ პავლეს-ძე **დუხანოვს,**
118. გიორგი სიმონის-ძე **დიაკოვს,**
119. ვასილ პავლეს-ძე **ევდოკიმოვს,**
120. მიხეილ სერგის-ძე **ევსტიგნეევს,**
121. დანიელ გრიგოლის-ძე **ეგოროვს,**
122. ევგენი არსენის-ძე **ეგოროვს,**
123. პავლე გრიგოლის-ძე **ეგოროვს,**
124. ნიკოლოზ ივანეს-ძე **ეგორიჩევს,**
125. სტეფანე ილარიონის-ძე **ერემინს,**
126. არკადი ნიკოლოზის-ძე **ერმაკოვს,**
127. ნიკოლოზ პეტრეს-ძე **ერმაკოვს,**
128. პავლე ანდრიას-ძე **ერმოლინს,**
129. კარპე ათანასეს-ძე **ჟელეზნიკოვს,**
130. ალექსი სიმონის-ძე **ჟიდოვს,**
131. ევგენი პეტრეს-ძე **ჟურავლიოვს,**
132. ალექსანდრე ათანასეს-ძე **ჟურბას,**
133. ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე **ზაიცევს,**
134. პანტელეიმონ ალექსანდრეს-ძე **ზაიცევს,**
135. დიმიტრი ექვთიმეს-ძე **ზაკუტნის,**
136. გიორგი თევდორეს-ძე **ზახაროვს,**
137. მათე ვასილის-ძე **ზახაროვს,**
138. თევდორე დიმიტრის-ძე **ზახაროვს,**
139. ანდრია ივანეს-ძე **ზელენცოვს,**
140. ნიკოლოზ გრიგოლის-ძე **ზოლოტუხინს,**
141. ალექსანდრე სიმონის-ძე **ზოტოვს,**
142. ეფიმ სერგის-ძე **ზიბინს,**
143. პეტრე მაქსიმეს-ძე **ზიკოვს,**
144. ვლადიმერ დიმიტრის-ძე **ივანოვს,**
145. ივანე ივანეს-ძე **ივანოვს,**
146. მიხეილ მიხეილის-ძე **ივანოვს,**
147. პეტრე ალექსის-ძე **ივანოვს,**
148. პეტრე სამსონის-ძე **ივანოვს,**
149. სტეფანე ალექსანდრეს - ძე **ივანოვს,**
150. სტანისლავ ანტონის-ძე **ივანოვსკის,**
151. ალექსი ალექსის-ძე **იგნატიევს,**
152. ივანე ალექსის-ძე **იკონიკოვს,**
153. თევდორე მიხეილის-ძე **ისაევს,**
154. იაკობ ანდრიას-ძე **იშჩენკოს,**
155. მიხეილ ილიას-ძე **კაზაკოვს,**
156. არკადი კუზმას-ძე **კაზაკოვცევს,**
157. კონსტანტინე გაბრიელის - ძე **კალმიკოვს,**
158. თევდორე ვასილის-ძე **კამკოვს,**
159. ივანე მიხეილის-ძე **კარავაევს,**
160. ივანე პეტრეს-ძე **კარმანოვს,**
161. ეგნატე ივანეს-ძე **კარპეზოს,**
162. ანდრია ივანეს-ძე **კარიაკინს,**
163. ალექსანდრე ვასილის-ძე **კატკოვს,**
164. ვიაჩესლავ ნიკოლოზის-ძე **კახოვსკის,**
165. კუზმა მაქსიმეს-ძე **კაჩანოვს,**
166. ნიკოლოზ კუზმას-ძე **კირილოვს,**
167. ნიკოლოზ იაკობის-ძე **კირიჩენკოს,**
168. ალექსი ვლადიმერის-ძე **კირპიჩნიკოვს,**
169. ვლადიმერ ვასილის-ძე **კირპიჩნიკოვს,**
170. ნიკოლოზ ივანეს-ძე **კირიუხინს,**
171. ნიკოლოზ ალექსის-ძე **კიჩაევს,**
172. გრიგოლ პლატონის-ძე **კლეპკინს,**
173. ვლადიმერ ექვთიმეს-ძე **კლიმოვსკიხს,**
174. ვასილ ივანეს-ძე **კნიგას,**
175. მიხეილ სიმონის-ძე **კნიაზევს,**
176. გრიგოლ მიხეილის-ძე **კობლენცს,**
177. კირილე ალექსის-ძე **კოვალენკოს,**
178. ემელიან ვასილის-ძე **კოზიკს,**
179. მიხეილ ივანეს-ძე **კოზლოვს,**
180. პეტრე მიხეილის-ძე **კოზლოვს,**
181. გიორგი ივანეს-ძე **კოკორევს,**
182. პეტრე ივანეს-ძე **კოკორევს,**
183. კონსტანტინე სტეფანეს - ძე **კოლგანოვს,**
184. ტროფიმ კალინის-ძე **კოლომიეცს,**
185. ვლადიმერ იაკობის-ძე **კოლპაკჩის,**
186. ბოგდან კონსტანტინეს - ძე **კოლჩიგინს,**
187. კონსტანტინე ვასილის-ძე **კომისაროვს,**
188. ალექსანდრე კონდრატის - ძე **კონდრატიევს,**
189. ბორის ნიკოლოზის-ძე **კონდრატიევს,**
190. სიმონ მიხეილის-ძე **კონდრუსევს,**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

---

*) (გაგრძელება. დასაწყისი იხ. 6, 8 და 9 ივნისის „კომუნისტის“ ნომრებში).

სამხედრო-საზღვაო ფლოტის უმაღლესი უფროსი შემადგენლობისათვის სამხედრო სახელწოდებათა მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება*

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს მთავრობის კომისიის წინადადებანი სამხედრო - საზღვაო ფლოტის უმაღლესი უფროსი შემადგენლობის პირთათვის იმ სამხედრო სახელწოდებათა მინიჭების შესახებ, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით.

VI.

მიენიჭოს ინჟინერ - კონტრ-ადმირალის სახელწოდება:

1. ლეონიდე ივანეს-ძე **ანტონოვს,**
2. ვასილ გრიგოლის-ძე **ვლასოვს,**
3. ვიქტორ მიხეილის-ძე **გავრილოვს,**
4. კონსტანტინე გიორგის-ძე **დმიტრიევს,**
5. ანატოლი ალექსის-ძე **ჟუკოვს,**
6. ნიკოლოზ ვასილის-ძე **ისაჩენკოვს,**
7. ნიკოლოზ ალექსანდრეს - ძე **კოჩკინს,**
8. ბორის ივანეს-ძე **კუდრევიჩს,**
9. ალექსი მოდესტის - ძე **ლავროვს,**
10. ალექსანდრე გრიგოლის-ძე **ორლოვს,**
11. პეტრე თევდორეს-ძე **პაპკოვიჩს,**
12. ვლადიმერ ალექსანდრეს - ძე **სადკევიჩს,**
13. ვლადიმერ არსენის-ძე **სოკოლოვს,**
14. ალექსანდრე ვლადიმერის - ძე **ტროფიმოვს,**
15. ალექსანდრე ანდრიას-ძე **ფროლოვს.**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

---

*) (გაგრძელება. დასაწყისი იხ. 6, 8 და 9 ივნისის „კომუნისტის“ ნომრებში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-3 სესია

კამათი საქართველოს სსრ 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე და 1938 და 1939 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო

დეპუტატ ი. ა. ჯავახიშვილის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

ბუნებრივია, რომ, როგორც სტუდენტთა საარჩევნო ოლქის წარმომადგენელი და მთელი მოღვაწეობით უმაღლეს და სამეცნიერო დაწესებულებებთან დაკავშირებული მუშაკი, უპირველესად საქართველოს სს რესპუბლიკის სწორედ უმაღლესი სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმის ვითარებასა და კულტურის საკითხებს შევეხო. ყველამ კარგად იცის, რომ საქართველო ხალხთა ბელადის დიდი **სტალინის** ბრძნული ხელმძღვანელობითა და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მეთაურობით კულტურისა და განათლების სფეროში გასაოცარი სისწრაფით დიადი წარმატების გზას დაადგა და დაწინაურდა. ეს მკაფიოდ დაეტყო როგორც ჩვენს დედაქალაქს, რომელიც საუცხოოდ მოწყობილ დიდ კულტურულ ცენტრად იქცა, ასევე მთელს ჩვენ ქვეყანასაც, რომელიც მრავალი უმაღლესი და საშუალო სასწავლებლებითა და სამეცნიერო ინსტიტუტებით, მუზეუმებითა და თეატრებით მოიფინა. თუ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე კერძო თაოსნობით დაარსებული ერთი უნივერსიტეტის გარდა არ მოიპოვებოდა, ამ ცხრამეტი წლის განმავლობაში საქართველოს სს რესპუბლიკა 21 უმაღლესი სასწავლებლის პატრონი გახდა, რომლებშიც 22.041 სტუდენტი სწავლობს.

ამას გარდა ხომ საქართველოში ოთხი პედაგოგიური ინსტიტუტიც არსებობს (წულუკიძის სახელობის ქუთაისში, ბერიას სახელობის სოხუმში, ერთი გორში და ერთიც სტალინირში) და ხუთი სამასწავლებლო ინსტიტუტიც მოგვეპოვება (პუშკინის სახ. თბილისში, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმში, ზუგდიდისა, თელავისა და თბილისის სომხურ-აზერბაიჯანული).

საქართველოს სს რესპუბლიკას ფართო მოსახლეობისათვის ისეთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებანიც გაუჩნდა და გამრავლდა, როგორიც მუზეუმებია. საერთოდ საქართველოში ამჟამად ხომ სხვადასხვა დანიშნულების 26 მუზეუმი მოიპოვება და ესეც ჩვენი დაწინაურების საწინდარია.

თუ წინათ საქართველოში რამოდენიმე ცალკეული პატარა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გარდა არა იყო რა, ამჟამად მას ისეთი დიდი დაწესებულებაც კი მოეპოვება, როგორც საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალია თავისი ექვსი დიდი ინსტიტუტით, რომელთაგან სამი—ენისა, ისტორიისა და მატერიალურ კულტურის, მათემატიკური და ბოტანიკური, — საბჭოთა კავშირში და მის გარეშეც არის ცნობილი. ენისა და ისტორიის ინსტიტუტი ქართველთა მცოდნეობის, ქართული და კავკასიური ენათმეცნიერების უპირველეს ცენტრად იქცა. საქ. ფილიალს უკვე პირველხარისხოვანი სამთო ობსერვატორიაც აქვს აბასთუმანში, რომელსაც პულკოვოს შემდეგ საბჭოთა კავშირში მეორე ადგილი უკავია.

თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტს და საქ. ფილიალს სათანადო საკავშირო ზემდგომ ორგანოსაგან სამეცნიერო ხარისხების მინიჭების უფლება აქვს მიღებული, რისთვისაც მეცნიერნი სხვა მოძმე რესპუბლიკებითგანაც კი ჩამოდიან. თბილისის სტალინის სახ. უნივერსიტეტში მყოფი ფიზიოლოგიური ლაბორატორია, რომელიც უკვე ორ ათეულ წელზე მეტი აკად. ივანე ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით მუშაობს, თავისი სამეცნიერო შრომებით საბჭოთა კავშირშიცა და საზღვარგარეთაც კარგად არის ცნობილი. ამგვარადვე აკად. ნ. მუსხელიშვილისა და მისი მოწაფეების მათემატიკოსთა სკოლაც ხომ მეცნიერების გარკვეულ დარგებში საბჭოთა კავშირში მოწინავედ ითვლება.

მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო ძალით საუკეთესოდ არის უზრუნველყოფილი ჩვენი სამედიცინო ინსტიტუტიც, რომლის 45 პროფესორითგან 41 მედიცინის დოქტორის ხარისხის პატრონია, 40 დოცენტითგან 8-ს აგრეთვე დოქტორის ხარისხი და 28-ს კანდიდატის ხარისხი აქვს. ამაზე უფრო საყურადღებოა, რომ 139 ასისტენტთა შორის 4 დოქტორის ხარისხის მქონებელია!

ენერგიულად მუშაობს ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიც, რომელიც საკავშირო სას.-სამეურნეო გამოფენაზე პირველი ხარისხის დიპლომითა და 10.000 მან. იქნა დაჯილდოვებული. მისმა თანამშრომლებმაც ოქროს მედლები მიიღეს.

დასასრულ უნდა აღინიშნოს ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა ჰქონდა და აქვს ეხლაც მიპყრობილი. ხალხთა ბელადის დიდი **სტალინის** მზრუნველობითა და დახმარებით საკავშირო ბიუჯეტიდან საქართველოს სს რესპუბლიკის კულტურის ძეგლთა დამცველმა განყოფილებამ 5.000.000 მან. მიიღო, რომლის დიდი მნიშვნელობა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად ადვილი მისახვედრია. ამავე თანხით ნაწარმოებმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ წალკაში ჩვენი უძველესი კულტურის უნიკალური ძეგლებიც შეგვძინა და მეცნიერებასაც ისტორიის მანამდე უცნობი ფურცლები გადაუშალა. ასევე აღსანიშნავია ის დიდი და ფართო არქეოლოგიური კვლევა-ძიება, რომელიც მცხეთა-სამთავროში უკვე მესამე წელიწადია საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური [illegible]

ორგანოების დიდი და დაუცხრომელი მზრუნველობა უმაღლეს სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა ბიუჯეტითაც კარგად მტკიცდება, მაგ., თბილისის სტალინის სახ. უნივერსიტეტს 1938 წ. მიეცა 21.033.800 მან., 1939 წ.

— 22.968.100 მან., ე. ი. 1.934.300 მანეთით მეტი.

ასეთივე და უფრო საყურადღებო ვითარებაა სახ. სამედიცინო ინსტიტუტის ბიუჯეტშიც: თუ 1935 წ. მას 6.885.000 მან. ჰქონდა, 1936 წ. მისი ბიუჯეტი უკვე 10.289.000 მან. გახდა, 1938 წ. — 10.470.000 მან., 1939 წ. — 12.148.000 მან. და 1940 წ. 12.300.000 მან.

სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ბიუჯეტის ზრდის საილუსტრაციოდ შესაძლებელია საქ. სახ. მუზეუმი იქმნეს დასახელებული, რომელსაც თავისი მრავალრიცხოვანი და არაერთი უნიკალური სამუზეუმო ექსპონატებით საბჭოთა კავშირში, ლენინგრადისა და მოსკოვის მუზეუმების შემდეგ, შეუძლიან პირველი ადგილი დაიკავოს.

მაინც ყველაზე მკაფიოდ ის უაღრესი მნიშვნელობა, რომელიც საქ. სს რესპუბლიკაში განათლებასა და კულტურას აქვს მინიჭებული, იქიდგან სჩანს, რომ საქართველოს მთელი ბიუჯეტიდან 1.227.451.000 მანეთიდან 698.672.000 მან., ანუ 57 პროცენტი განათლებას ხმარდება. ცხადია, რომ ამას არავითარი დამატება არ სჭირდება.

რასაკვირველია, კიდევ ბევრი საგულისხმო გარემოებისა და ცნობების დასახელება შეიძლებოდა, მაგრამ ისიც, რაც უკვე ნათქვამი იყო, საკმარისია იმ გასაოცარი, უზარმაზარი კულტურული მუშაობის გასათვალისწინებლად, რომელიც ცხრამეტი წლის განმავლობაში საქ. სს რესპუბლიკაში მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის მითითებითა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით სწარმოებდა.

კმაყოფილების მეტი რა გრძნობა შეიძლება ჰქონდეს ადამიანს? მაგრამ თვით ხალხთა დიდი ბელადივე ყოველ საბჭოთა მოქალაქეს მუდამ ასწავლის, რომ მიღწეულით თავმომწონეობას კიდევ უფრო მეტი წარმატებისა და დაწინაურებისათვის ზრუნვა და მისწრაფება სჯობია და მეც ჩემს თავს მოვალედ ვრაცხ მოგახსენოთ ის რამდენიმე მოსაზრება, რომელიც ყველა ჩვენს დიდ მონაპოვარს მომავალში უფრო მეტად გააძლიერებდა და შემდგომი წარმატებისათვისაც მტკიცე ნიადაგს შეუქმნიდა.

საქართველოს სამეცნიერო-სასწავლო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მთელი სიმრავლე სხვადასხვა კომისარიატებსა და სამმართველოებს ექვემდებარება. ეს მათი მიზნობრივი დანიშნულების განსხვავებაზეა დამყარებული და ამ მხრით ბუნებრივიც არის. მაგრამ იმ სპეციალურსა და ცალკეულ მიზან-ამოცანებს გარდა, რომელთაც თვითეული ან რამდენიმე მათგანი ემსახურება, ყველა მათ საერთო მიზნებიცა და ამის გამო საერთო ამოცანებიც აქვთ. ცხადია, რომ ამასთან დაკავშირებით მათ საერთო საზრუნავიც ბევრი უნდა ჰქონდეთ და აქვთ კიდევაც.

იმის გამო, რომ თვითეული ან რამდენიმე მათგანი სხვადასხვა კომისარიატებსა და უწყებებს ექვემდებარება, ამჟამად ყველა ასეთი საერთო საკითხების წინასწარ განხილვისა და საერთო შეთანხმებული გეგმის შედგენის შესაძლებლობა არ არსებობს, პირიქით, ახლა თვითეული უმაღლესი სასწავლებელი და დაწესებულება თავისი კომისარიატის, ანდა უწყების ფარგლებში თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის ცალცალკე ზრუნავს მაშინაც კი, როდესაც ამოცანა და საზრუნავი ერთი დაწესებულების ფარგლებს სცილდება და მის ჯეროვნად დაკმაყოფილებისათვის სხვა მონათესავე დანიშნულების დაწესებულებებთან წინასწარი მოლაპარაკება მოთათბირება უფრო სწორი და უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა.

ცნობილია, რომ ისეთ სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებშიც, როგორც სამედიცინო, აგრონომიული, ზოოვეტერინარული, ინდუსტრიული და სხვა ინსტიტუტები, ანდა კონსერვატორია და სამხატვრო აკადემია გახლავთ, სპეციალურ საგნებს გარდა ისეთი ზოგადი სამეცნიერო დისციპლინების შესწავლა სჭირდებათ გამოყენებითი მეცნიერების უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, როგორიც უმაღლესი მათემატიკა, ფიზიკა, მეტეოროლოგია, ქიმია, ბოტანიკა, ზოოლოგია და სხვა საგნებია, ანდა მხატვრული მწერლობის, ზოგადი და კულტურის ისტორიაა საჭირო ისეთი უმაღლესი სასწავლებლების მსმენელთათვის, როგორიც სამხატვრო აკადემია, კონსერვატორია და თეატ[illegible]

სჭირდებათ. ამ ინსტიტუტებს კი თავიანთი ასეთი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, საკუთარი მეცნიერი მუშაკები ან სრულებით არა ჰყავს, ანდა ცოტა მოეპოვება, ამიტომ ამ საგნების სწავლება უმეტესად უნივერსიტეტის ლექტორებს უხდებათ. ამას დაუმატეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში მრავალრიცხოვანი პედაგოგიური ინსტიტუტები, სადაც ყველა ზემოაღნიშნული საგნის წარმომადგენელი მუშაკები არიან აგრეთვე ლექტორებად საჭირონი. ადგილობრივი საკუთარი სამეცნიერო ძალის უყოლობის გამო, ამჟამად ან თბილისის უმაღლესი სასწავლებლების ლექტორებსვე აწევთ ტვირთად, ან ამ საგნებისათვის იქ სათანადო სამეცნიერო კვალიფიკაციის მოკლებული პირების გამოყენება უხდებათ. ამრიგად მოსწავლე ახალგაზრდობაში უმაღლესი სამეცნიერო, ცოდნის ჩამნერგავი კადრების ნაკლებობა საქართველოში ძალზე საგრძნობია. რასაკვირველია ეს იმ სასიხარულო მოვლენით აიხსნება, რომ ჩვენში უმაღლესი ცოდნის აუცილებლობა უკვე უფრო ფართო მოთხოვნილებად იქცა, მაგრამ ამავე დროს ისიც უნდა გვქონდეს გათვალისწინებული, თუ რა მოსდევს შედეგად უმაღლეს სასწავლებლებისათვის სათანადოდ მომზადებული ლექტორების ჯეროვანი რაოდენობის ნაკლებობას. სახელდობრ, იშვიათი შემთხვევაა, რომ მეცნიერი მუშაკი არამც თუ რამდენსამე სასწავლებელში არ კითხულობდეს ლექციებს, არამედ არაერთს მათგანს რამდენსამე ქალაქშიც კი უხდება კითხვა.

რა თქმა უნდა, ეს დროებითი მოვლენაა და გარკვეული წლების განმავლობაში, სანამ ახალ-ახალი სამეცნიერო ძალა გაგვიმრავლდება, აუცილებელიც არის, მაგრამ ამას შესაძლებელია დიდხანს ბოლო ვერ მოეღოს, თუ რომ ახალი სამეცნიერო კადრების მომზადება ეხლავე უპირველეს ამოცანად არ მივიჩნიეთ და მის განსახორციელებლად კარგად გათვალისწინებული მიზანშეწონილი გეგმა არ გვექნება.

ზოგადი საგნებისათვის ახალი სამეცნიერო კადრების მომზადების უფლება საქართველოში მხოლოდ ორ დაწესებულებას აქვს უმაღლეს სკოლების საკავშირო კომიტეტისაგან მინიჭებული: თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტსა და საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ორს ინსტიტუტს (მათემატიკურსა და ენისა, ისტორიისა და მატერიალური კულტურისას), მედიცინის და აგრონომიულს ინსტიტუტებს — კი მხოლოდ თავიანთი სპეციალური საგნებისათვის.

ცნობილია, რომ თბილისის სტალინის სახ. უნივერსიტეტი საქ. განათლების სახალხო კომისარიატს ექვემდებარება, აკადემიის ფილიალი კი მეცნიერებათა საკავშირო აკადემიას. თვითეული მათგანი თავის საჭიროების დაკმაყოფილებისათვის ზრუნავს და იმდენს ასპირანტს იყვანს, რამდენიც მას ამჟამად უნდება. ხოლო რამდენი მეცნიერი მუშაკის მომზადებაა აუცილებლად საჭირო საქართველოს ყველა სხვა უმაღლეს სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებისათვის, ამის შესახებ არც ერთს მათგანს არავითარი ცნობები არ მოეპოვება. თბილისის სტალინის სახ. უნივერსიტეტისა და აკადემიის საქ. ფილიალს ჯერჯერობით თავისთვისაც ასპირანტების მომზადების მიზანდასახულობითი საერთო გეგმა მახლობელი რამდენიმე წლისათვის არ მოეპოვება, არამედ ეს საკითხი ყოველწლიურად ცალცალკე სწყდება. რა გასაკვირველია, რომ მთელი საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებისათვის ასეთი გეგმა მას არ ჰქონდეს.

ან კი, როგორ შეიძლება, რომ ასეთი გეგმა მათ შეადგინონ, როდესაც ამისათვის წინასწარ ყველა ასეთი სათანადო დაწესებულებათა მოთხოვნილების ცოდნაა საჭირო, ამ დაწესებულებებს კი ასეთი ცნობების თბილისის სტალინის სახ. უნივერსიტეტისა და აკადემიის ფილიალისათვის მიწოდება ფიქრადაც არ მოსდით. თავიანთი მხრით, რა უფლება აქვთ სტალინის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტსა და საკავშირო აკადემიის საქართველოს ფილიალს ასეთი მასალების შეკრებას შეუდგნენ და გეგმა შეადგინონ, როდესაც საკითხი სხვა კომისარიატებისა და უწყებათა ქვემდებარე სასწავლებელ-დაწესებულებებს ეხება? საქ. რესპუბლიკისათვის ახალი კადრების მომზადებისათვის ზრუნვის მათი მოვალეობა ხომ მარტო ლოგიკურად გამომდინარეობს მათთვის ამ საგნებში სამეცნიერო ხარისხის მინიჭების გარემოებიდან. არსად ეს ლოგიკურ-ზნეობრივი მოვალეობა იურიდიულად დავალებად და, მაშასადამე, ვალდებულებად ქცეული არ არის: ამისათვის სადირექტივო ორგანოებისა და საკანონმდებლო დაწესებულების სათანადო დადგენილება და კანონია საჭირო.

განა ცალცალკე და უწყებრივად ერთმანეთთან დაუკავშირებლივ განხილვა გაცილებით უფრო უკეთესი და სასარგებლო არ იქნებოდა, რომ საქართველოს სხვადასხვა დაინტერესებულ უმაღლესი სასწავლებლებისა და ინსტიტუტების წარმომადგენელთა თათბირზე გარჩეულიყო საკითხი, სად რომელი სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულება იმჯობინებოდა, რომ აღდგენილი ანდა ახლად შექმნილიყო? ეს მთელი ჩვენი მეცნიერების წარმატებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია: თანამედროვე მეცნიერების მსწრაფი დაწინაურება და აღმოჩენათა სიმრავლე კარგად მო[illegible]

თა კავშირშიც შემოქმედებისა და აღმოჩენათა ინტენსივობა იქ სჩანს უპირველესად, სადაც ასეთი დაწესებულებები მოიპოვება: ლენინგრადსა, მოსკოვსა და ხარკოვში. ამიტომ საქართველოშიც ასეთი დაწესებულებათა გამრავლება და უფრო მეტად ახლად შექმნა მორიგს ამოცანას წარმოადგენს. კერძოდ სასურველია, რომ საქართველოსაც ჰქონდეს თავისი ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტი, ურომლისოდაც მეცნიერების ამ დარგში მნიშვნელოვანი წარმატება ძნელია.

უცილობელია, რომ ქართული სამეცნიერო მწერლობაც ამ ორი ათეული წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა და გამრავალფეროვანდა. ყველაზე მკაფიოდ ეს გამოქვეყნებული წიგნების სიმრავლით და ღირსებით გამოიხატება. მაგრამ აქაც ჯერ კიდევ ბევრი რამე გვაქვს გასაკეთებელი. გამოსული წიგნების უმეტესობა უმაღლესი სკოლების სახელმძღვანელოებია. ამ მხრით შესამჩნევი წარმატებაა საგრძნობი, მაგრამ მოსწავლე ახალგაზრდობის მთელი მოთხოვნილება მაინც ჯერ დაკმაყოფილებული არა გვაქვს. ამას უეჭველია მალე ეშველება. ჩვენი გამომცემლობის ნაკლს ქართულად გამოქვეყნებული გამოკვლევების სიმცირე შეადგენს. თვით ისეთი ნაშრომებიც კი, როგორიც სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაწერილი დისერტაციებია, უმეტეს წილად გამოუქვეყნებელია.

თუ სახელმძღვანელოების გამოცემა „სახელგამს" აქვს დაკისრებული, ზემოდასახელებულ სპეციალურ გამოკვლევათა გამოქვეყნება თვითეულ სასწავლებლის, ინსტიტუტისა და დაწესებულების სახსრებსა და გამჭრიახობაზეა დამოკიდებული. უნივერსიტეტსა და აკადემიის ფილიალს გარდა კი არც ერთს მათგანს საგამომცემლო საშუალება არ მოეპოვება. ამის შველა კი მხოლოდ სამეცნიერო გამომცემლობისათვის მტკიცე ბაზის შექმნით შეიძლება.

რევოლუციის შემდგომ, მეტადრე ამ ოცი წლის განმავლობაში, ჩვენში იმოდენა უმაღლესი სასწავლებელი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და მუზეუმები დაარსდა, რომ სამისო ფართობის საჭიროებაც ბუნებრივად გაჩნდა.

საქართველოს სს რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა ზრდა ისეთი სისწრაფით მიმდინარეობს, რომ მშენებლობა ამ ზრდას კვალდაკვალ ვერ მოსდევს და მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს.

სამეცნიერო-სასწავლო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა მშენებლობისათვის რომ წინასწარ გათვალისწინებული საერთო გეგმა გვქონოდა, დარწმუნებული ვარ ამ საქმის ბევრად დაწინაურებაც იქნებოდა შესაძლებელი და მოთხოვნილებაც მიზანშეწონილი თანდათანობით დაკმაყოფილებული იქმნებოდა.

მართალია უმაღლესი სკოლების საკავშირო კომიტეტი არსებობს, მაგრამ მისი საქმიანობა მხოლოდ სასწავლო დისციპლინების გეგმის, პროგრამებისა და სამეცნიერო ხარისხების მინიჭების კანონიერების განხილვა-დამტკიცებით განისაზღვრება. მისი კომპეტენცია მთელი საბჭოთა კავშირის მოცულობას ეხება. რასაკვირველია, ამის წყალობით მოთხოვნილებათა ერთგვაროვნება მყარდება, მაგრამ ყველა იმ საკითხის კოორდინაცია, რომლებზედაც საუბარი გვქონდა, ამ გზით შეუძლებელია. ეს პრობლემები ჯერ რესპუბლიკური მასშტაბით უნდა იყოს განხილულ-შეთანხმებული, რადგან მათი შეუცდარად გადასაწყვეტად და მიზანშეწონილი სამოქმედო გეგმის შესადგენად ადგილობრივი პირობებისა და მოთხოვნილებათა ზედმიწევნით ცოდნაა საჭირო.

ამიტომაც მგონია, რომ მომავალში ყველა იმ უარყოფითი მოვლენის თავიდან ასაცილებლად, რომლებზედაც მოგახსენეთ, საქართველოს სს რესპუბლიკის მომავალში დღევანდელზე უფრო მეტი და ბრწყინვალე მიღწევათა მოსაპოვებლად მეცნიერებისა და კულტურის სფეროში, საჭიროა საქართველოს სს რესპუბლიკაში შეიქმნეს ორგანო, რომელიც ცალკეული კომისარიატებისაგან სახალხო კომისართა საბჭოში დასამტკიცებლად პროექტების წარდგენამდე, ყველა უმაღლესი სამეცნიერო სასწავლებლებისა და საკვლევ-ძიებო და სამეცნიერო-საგანმანათლებლო ინსტიტუტებისა და დაწესებულებათა აღნაგობას, სამეცნიერო მუშაობის გეგმის, კადრების მომზადება-განაწილების, გამომცემლობისა და მშენებლობის საკითხები ზოგად რესპუბლიკურ მიზანდასახულობათა და მოთხოვნილებათა მიზანშეწონილობის თვალსაზრისით განიხილავდა და სახალხო კომისართა საბჭოს თავის დასკვნას წარმოუდგენდა.

დასასრულ, სრული შეგნებით უნდა აღვნიშნო, რომ ყველა ის ნაკლი, რაზედაც უკანასკნელად მოგახსენეთ, რასაკვირველია, მხოლოდ წვრილმანია იმ დიდი კულტურულ აღმშენებლობასთან და იმ ბრწყინვალე მიღწევებთან შედარებით, რომელნიც ხალხთა ბელადის დიდი **სტალინის** წინამძღოლობითა და ბრძნული მითითებებით, ამხ. ლ. **ბერიას** ენერგიული მეთაურობითა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუდმივი ხელმძღვანელობით საქ. სს რესპუბლიკამ მოიპოვა. შესაძლებელია ჩემი მოსაზრებაც მთლად სწორე არ იყოს, მაგრამ იმ უმაგალითო კულტურულ აღორძინებას, რომელიც ჩვენში მიმდინარეობს, წვრილმანი ნაკლიც კი აცილებული უნდა ჰქონდეს. დარწმუნებული ვარ, რომ ხელმძღვანელი ორგანოები, რომელთა დახმარებითაც ეს დიდი [illegible]

დეპუტატ ჰ. ა. დანელიანის სიტყვა

ამხანაგებო, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ წარმოუდგინა დასამტკიცებლად უმაღლესი საბჭოს მესამე სესიას, გამოხატავს ჩვენი ორდენოსანი რესპუბლიკის ყველა იმ გრანდიოზულ მიღწევას, რომლებიც მოიპოვა საქართველოს მშრომელებმა საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობით, ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას** ხელმძღვანელობით, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** ყოველდღიური მზრუნველობითა და დახმარებით. **(ტაში).**

1940 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი შედგენილია სსრკ უმაღლესი საბჭოს VI სესიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად—მესამე სტალინური ხუთწლედის იმ ამოცანების შესრულებისათვის, რომლებიც საქ. კ. პ. (ბ) ისტორიულმა XVIII ყრილობამ დაგვისახა.

თანახმად წარმოდგენილი პროექტისა, ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ისე საგასავლო ნაწილი უდრის 1.227.451.000 მანეთს.

სახალხო განათლებაზე და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე ბიუჯეტიდან დაიხარჯება 846.081.000 მანეთი, ე. ი. ბიუჯეტის 68,9 პროც.

ამხანაგო დეპუტატებო! მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანაში შეიძლება ამოდენა თანხის გადადება სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებისათვის. ეს უზრუნველჰყოფს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომ შეუფერხებელ ზრდას.

ამხანაგო დეპუტატებო! მე შემომაქვს წინადადება: დავამტკიცოთ როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში საქართველოს სსრ 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ.

ახალქალაქის რაიონის, ისე როგორც საქართველოს ყოველი რაიონის, მაგალითზე შეიძლება ვუჩვენოთ რესპუბლიკის ბიუჯეტის შეუფერხებელი ზრდა.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ სახკომსაბჭო ყოველთვის განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობოდნენ ახალქალაქის რაიონს. რაიონის ბიუჯეტი ყოველ წელს იზრდებოდა. ასე, მაგალითად, უკანასკნელ 4 წელში რაიონის ბიუჯეტი გაიზარდა 2,3-ჯერ და 1939 წელს უდრიდა 9.760.500 მანეთს (1936 წლის ბიუჯეტი კი უდრიდა 4.286.000 მანეთს). 1939 წელს სახალხო განათლებასა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე დაიხარჯა 7.490.600 მანეთი, ანუ მთელი ბიუჯეტის 77 პროცენტი.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ასეთი ზრუნვის შედეგად ახალქალაქის რაიონმა სავსებით იცვალა სახე. თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ეს რაიონი წარმოადგენდა საქართველოს ყველაზე ჩამორჩენილ კუთხეს, სადაც მეფობდნენ სიღარიბე და რელიგიური სიბნელე, სადაც წერა-კითხვის მცოდნეობა მხოლოდ მდიდრების, კულაკების, ვაჭრების და რელიგიური კულტის წარმომადგენელთა უპირატესობას შეადგენდა, — დღეს ახალქალაქის რაიონი წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის რაიონია. ამჟამად რაიონში არის განათლების განყოფილების სისტემის 72 სკოლა, აქედან 6 საშუალო და 46 არასრული საშუალო, რომლებშიაც კოლმეურნეთა და რაიონის სხვა მშრომელთა 17.000 ბავშვი სწავლობს.

რაიონში არის აგრეთვე პედაგოგიური და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმები, სკოლა მოზრდილთათვის, სამედიცინო დების სკოლა და საკოლმეურნეო მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სარაიონთაშორისო სკოლა.

სახალხო განათლებაზე 1939 წელს დაიხარჯა 6.114.000 მანეთი ანუ ბიუჯეტის 62,7 პროცენტი, რაც აბსოლუტურ ციფრებში ერთნახევარჯერ უფრო მეტია, ვიდრე რაიონის მთელი ბიუჯეტი 1936 წელს. სახალხო ჯანმრთელობის ღონისძიებებზე შარშან დაიხარჯა 1.205.000 მანეთი. საგრძნობლად გაფართოვდა

სასოფლო სავადმყოფოების, საექიმო უბნებისა და პუნქტების ქსელი.

სახე იცვალეს ჩვენმა საკოლმეურნეო სოფლებმა. ამ წლების განმავლობაში ბევრ სოფელში გაიყვანეს წყალსადენი, ბევრგან გაიხსნა კლუბი, სამკითხველო, სანიმუშო სასოფლო მაღაზია, გაყვანილია საუცხოო გზები რაიონის ყველა სოფელში. რადიო, ტელეფონი, ველოსიპედი, კულტურული ავეჯი კოლმეურნეთა ყოფაცხოვრების ყოველდღიური მოხმარების საგნად გადაიქცა.

ძველი მიწურების მაგიერ სოფლებს ამშვენებს კოლმეურნეთა ქვიტკირის ფართო, ნათელი სახლები, 16 სოფლის საბჭოდან 15-საქვს სატელეფონო კავშირი სარაიონო ცენტრთან. 1940 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია თანხები ახალქალაქის რაიონის ტელეფონიზაციისათვის, რაც საშუალებას მოგვცემს, თუ კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატი კარგად იმუშავებს, დავამთავროთ წელს სასოფლო საბჭოების ტელეფონიზაცია.

გარდა საბიუჯეტო თანხებისა, რაიონში დიდი თანხებია დაბანდებული სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის. მოწყობილია 2 მტს-ი 79 ტრაქტორით, რომლებიც უდიდეს დახმარებას უწევენ ჩვენს კოლმეურნეობებს.

სარაიონო ცენტრში — ქალაქ ახალქალაქში გაყვანილია ტელეფონის ახალი ქსელი, მოეწყო მძლავრი რადიო-კვანძი, წესრიგშია მოყვანილი კულტურის სახლი. 1939 წლის დასაწყისში ყოფილ ახალქალაქის სოფლსაბჭოდან გამოყოფილ იქნა ქალაქი და ახლა გვაქვს ქალაქის საბჭო, რომელიც სათანადო მუშაობას ატარებს ახალქალაქის კეთილმოწყობისათვის.

მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი სარაიონო ცენტრის — ახალქალაქის კეთილმოწყობის დარგში გაკეთებულია გაცილებით უფრო ნაკლები, ვიდრე სოფლების კეთილმოწყობის საქმეში. ქალაქის კეთილმოწყობის ტემპები დიდად ჩამორჩება რაიონის მშრომელთა კულტურულ ზრდას. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ქალაქის საბჭოს კომუნალური მეურნეობის განყოფილებას არა აქვს საბინაო ფონდი. დარაიონების (ე. ი. 1930 წ.) შემდეგ ახალქალაქში არ აშენებულა არცერთი საცხოვრებელი სახლი. 1940 წლის ბიუჯეტის პროექტში ახალქალაქისათვის არ არის გათვალისწინებული არავითარი კაპიტალური მშენებლობა. მე ვთხოვ სესიას მიიღოს მხედველობაში ჩვენი მდგომარეობა და შეიტანოს ბიუჯეტში სათანადო ასიგნობა თუნდაც ერთი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის.

დიდი მუშაობა უნდა ჩატარდეს აგრეთვე ქუჩების წესრიგში მოსაყვანად და ქალაქის გასამწვანებლად. ამ ღონისძიებებზე 1939 წელს კომუნალური მეურნეობის ხაზით გათვალისწინებული იყო 94.000 მანეთი. ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ 1940 წელს გაცილებით უფრო მეტს მივიღებდით, მაგრამ ბიუჯეტის პროექტში ამ საჭიროებებისათვის გათვალისწინებულია მხოლოდ 70.000 მანეთი.

მე ვთხოვ სესიას ქალაქის კეთილმოწყობისათვის წელს დაგვიტოვოს ბიუჯეტში იმდენი თანხა მაინც, რამდენიც შარშან გვქონდა, ე. ი. 94.000 მანეთი.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენს რაიონში შენდებოდა მექანიზებული წისქვილი, რომელიც დააკმაყოფილებდა არა მარტო ახალქალაქის, არამედ მეზობელ ბოგდანოვკისა და ასპინძის რაიონებს. ამ წისქვილის დროზე ამუშავების აუცილებლობა ყველასათვის ცხადია. ეს რაიონები და, კერძოდ ახალქალაქის რაიონი ყოველწლიურად რამდენიმე მილიონ მანეთს ხარჯავენ დამზადებული ხორბლის გადასაზიდად ბორჯომში, ე. ი. 125 კილომეტრის მანძილზე, და რაიონისათვის საჭირო ფქვილის შემოსაზიდად. ადგილზე დაფქვა მოგვცემდა დიდ ეკონომიას. წისქვილი თითქმის მზად არის, საჭიროა მხოლოდ ზოგიერთი სამუშაოს დამთავრება, რაც დაჯდება 50.000 მანეთამდე. მიუხედავად ჩვენი დაჟინებითი მოთხოვნისა, ეს თანხა არ იქნა შეტანილი ახალქალაქის რაიონის მიმდინარე წლის ბიუჯეტში ადგილობრივი მრეწველობის ხაზით.

აქვე გაკვრით უნდა შევეხო კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის ერთობ არადამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობას ჩვენი რაიონის სათანადო ობიექტების მიმართ. საქმე იმაშია, რომ ჩვენი ელექტროსადგური ძლიერ ცუდად მუშაობს, ელექტროქსელს დიდი დეფექტები აქვს, ცუდად მუშაობს ქალაქში წყალსადენის ქსელი, რის გამო წყლის ონკანებთან ხალხის თავის მოყრას აქვს ადგილი. კომუნალური მეურნეობის კომისარიატი ერთხელაც არ დაინტერესებულა ამ საკითხებით და რაიონის ორგანიზაციების თხოვნას უყურადღებოდ სტოვებს. კომუნალური მეურნეობის კომისარიატს, რასაკვირველია, სხვა სარაიონო ცენტრებშიც ბევრი აქვს გასაკეთებელი, მაგრამ ამ საქმეს მან ოპერატიულად უნდა უხელმძღვანელოს.

აქ ლაპარაკი იყო აგრეთვე ფინსახკომის და მისი ძირეული ორგანოების მუშაობის ზოგიერთ ნაკლოვანებათა შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსების, ბიუჯეტის დარგში ჯერ კიდევ ცუდად მუშაობენ თვით სარაიონო საბჭოებისა და სოფლის საბჭოების აღმასკომები. მასალების ანალიზიდან ირკვევა, რომ ფულადი სახსრების მობილიზაციის დარგში ყველაზე ცუდი მაჩვენებლები გვაქვს სოფლად სესხის გავრცელებისა და თვითდაბეგვრის ხაზით. სწორედ ამ შემოსავლისათვის არიან უშუალოდ პასუხისმგებელნი ჩვენი სოფლის საბჭოები.

1939 წელს ახალქალაქის რაიონმა ბიუჯეტი ცუდად არ შეასრულა. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი დოტაციასთან ერთად შესრულებულია 101,4 პროცენტით, ხოლო უდოტაციოდ 102,5 პროცენტით. იმავე დროს სესხის ხაზით შეუსრულებლობა უდრის 20 პროცენტს, ხოლო კულტგამოსაღების ხაზით — 1,7 პროცენტს.

ამხანაგებო, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებო! 1940 წლის ბიუჯეტის წარმატებით შესრულება როგორც საშემოსავლო, ისე საგასავლო ნაწილში მოითხოვს როგორც საფინანსო მუშაკების, ისე ყველა პარტიული და საბჭოთა მუშაკების განსაკუთრებულ ყურადღებას.

გაუმარჯოს ქართველი ხალხის სახელოვან შვილს, საბჭოთა დაზვერვის მებრძოლ ხელმძღვანელს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სტალინურ სახკომს **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას! (ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურს დიდ **სტალინს! (ტაში).**

დეპუტატ შ. ქ. ღამბაშიძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! თქვენს დასამტკიცებლად წარმოდგენილია განვლილი 1938 და 1939 წლების ბიუჯეტის შესრულება და მიმდინარე 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. წარმოდგენილ ბიუჯეტთა განხილვა თვალნათლივ გვიჩვენებს ჩვენი აყვავებული ქვეყნის სახალხო მეურნეობის, კულტურისა და საერთოდ ხალხის კეთილდღეობის იმ კოლოსალურ ზრდას, რომელსაც მიაღწია ორდენოსანმა საქართველომ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ბრწყინვალე გამარჯვების შედეგად. წარმოდგენილი ბიუჯეტი ნათელი და მკაფიო ილუსტრაციაა იმ უდიდესი წარმატებებისა, რომლებიც პირველი და მეორე სტალინური ხუთწლედების განმავლობაში მოიპოვეს საქართველოს ბოლშევიკებმა დიდი **სტალინის** ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის, ქართველი ხალხის სამაყო შვილის ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას** ხელმძღვანელობით. **(ტაში).**

1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტს. იგი გვისახავს იმ ამოცანებს, რომელთა განხორციელება უფრო დააჩქარებს ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილ წინსვლას კომუნიზმის გზაზე, მისი ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის, კულტურის, ხელოვნების, ხალხთა ბედნიერი და სამური ცხოვრების შემდგომ აყვავებას. [illegible]



[illegible]ტა, მოწმობს ჩვენს ძლიერებას, მეტყველებს ჩვენი მეურნეობის განუწყვეტელ ზრდაზე.

ცარიზმისა და მენშევიკების ბატონობის დროს საქართველო წარმოადგენდა გალატაკებულ, ნახევრადკოლონიურ ქვეყანას, სრულ დეგრადაციამდე მისული პრიმიტიული სოფლის მეურნეობით და კიდევ მეტად ჩამორჩენილი მრეწველობით. სულ ორიოდე ათეული წლის მანძილზე საქართველოს ხალხმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით არაჩვეულებრივ გამარჯვებებს მიაღწია. ამ ხნის განმავლობაში საქართველო გადაიქცა საბჭოთა კავშირის [illegible]

[illegible]ნო ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის მოძმე მოკავშირე რესპუბლიკათა დიად ოჯახში.

საქართველოს გლეხობამ, რომელიც წარსულში განიცდიდა ორმაგ ექსპლოატაციას ცარიზმისა და ადგილობრივი ბურჟუაზიის მხრივ და რომელიც მოკლებული იყო ყოველგვარ უფლებებს, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ჰპოვა ხსნა და სტალინური კონსტიტუციის ცხოველმყოფელი მზის ქვეშ, საკოლმეურნეო სისტემის საფუძველზე მდიდარ, ბედნიერ, სამურ ცხოვრებას მიაღწია.

საბჭოთა ხელისუფლებამ არა მარტო გაათავისუფლა მშრომელი ხალხი, არამედ წინსვლისა და აღორძინების ყველა პირობაც შეუქმნა მას. განთავისუფლებული მშრომელი ხალხი ხარბად დაეწაფა სწავლა-განათლებას და სულ მოკლე ხანში წარმოშვა სოციალისტური შრომის ნოვატორები, მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების გამოჩენილი მუშაკები.

სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციამ და მექანიზაციამ საქართველო გადააქცია სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ქვეყნად. საქართველოს ციტრუსები, ჩაი, ტუნგო, გერანი და სხვა ძვირფასი კულტურები კარგად ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში. 1939 წელს ათასეული კოლმეურნე ღირსი გახდა მონაწილეობა მიეღო სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურ[illegible]

(დასასრული იხ. მე-3 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-3 სესია

კამათი საქართველოს სსრ 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე და 1938 და 1939 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გაკეთებელი მოხსენების გამო

დეპუტატ შ. ქ. ღამბაშიძის სიტყვა

(დასასრული)

წეო გამოფენაზე, და შემთხვევითი როდია, რომ საბჭოთა საქართველოს პავილიონი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის სიამაყეს წარმოადგენს.

კიდევ უფრო დიდი მიღწევები აქვს სოციალისტურ საქართველოს მრეწველობის დარგში. ელექტროფიკაციის საფუძველზე გაიშალა საქართველოს სოციალისტური მრეწველობა. ფერომარგანეცის მრეწველობის განვითარება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ელექტროფიკაციის ბაზაზე. ამავე საფუძველზე მოხდა ჩვენი სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური რეკონსტრუქცია. განხორციელდა საქართველოს ქვანახშირისა და მარგანეცის მრეწველობის რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც სამთამადნო მრეწველობამ თავისი განვითარების მანამდე არნახულ დონეს მიაღწია.

თუ 1938 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უდრიდა 1.119.305 ათას მანეთს, ხოლო 1939 წლისა — 1.218.784 ათას მანეთს, 1940 წლისათვის თქვენ დასამტკიცებლად წარმოდგენილი გაქვთ 1.227.451 ათასი მანეთი. ბიუჯეტის ასეთი ზრდა მაჩვენებელია იმ დიდი წარმატებებისა, რომლებსაც ჩვენ მივაღწიეთ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით და ქართველი ხალხის საამაყო შვილის, ჩვენთვის საყვარელი ლავრენტი ბერიას მეთაურობით **(ტაში)**.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების შედეგად არაჩვეულებრივად გაიზარდა სსრ კავშირში შემავალ ხალხთა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა. საქართველო ამ მხრივ ერთერთ მოწინავე რესპუბლიკად ითვლება. ამას მოწმობს ის გარემოებაც, რომ ჩვენს ბიუჯეტში სოცკულტურის დარგს წამყვანი ადგილი უჭირავს. 1938 წლის ბიუჯეტში სოცკულტურულ საჭიროებებისათვის ბიუჯეტის 65 პროცენტი იხარჯებოდა, 1939 წელს —67,2 პროცენტი, ხოლო 1940 წლის ბიუჯეტში ამ მიზნით გათვალისწინებულია 68,9 პროცენტი. ეს შესაძლებელია მხოლოდ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში, ეს შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც შრომა სახელის, ღირსების, დიდებისა და გმირობის საქმეს წარმოადგენს, იქ, სადაც ხალხის სვე-ბედს ლენინ-სტალინის დიადი პარტია სჭედს, იქ, სადაც ხალხის ბრძოლას უკეთესი მომავლისათვის საყვარელი ბელადი დიდი სტალინი მეთაურობს **(ტაში)**.

სახალხო განათლებაზე საქართველოში 1939 წელს დახარჯულია 535.934 ათასი მანეთი, ჯანმრთელობაზე 48.750 ათასი მანეთი, ხოლო ხელოვნებაზე 14.305 ათასი მანეთი. წელს განზრახულია სახელმწიფო ბიუჯეტით სახალხო განათლებაზე დაიხარჯოს 846.081 ათასი მანეთი, ხოლო ხელოვნებაზე 14.171 ათასი მანეთი. როგორც ხედავთ, სახალხო განათლებაზე წელს განზრახულია დაიხარჯოს 310.157 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე 1939 წელს, რაც თითქმის ერთი-ორად ზრდას შეადგენს.

ეს გამოწვეულია იმით, რომ თუ 1939 წელს საქართველოში არსებობდა 1.586 საშუალო და არასრული საშუალო სკოლა 528.231 მოსწავლით, 1940 წელს ჩვენ გვექნება 1.772 სკოლა 573.686 მოსწავლით.

თუ 1939 წელს საქართველოს ქალაქებში აშენდა 9 სასკოლო შენობა 5.040 მოსწავლისათვის, ხოლო სოფლად 82 სასკოლო შენობა 17.485 მოსწავლისათვის, წელს რესპუბლიკაში შენდება 92 სკოლა 24.715 მოსწავლისათვის.

ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სისტემაში 1939 წელს არსებობდა 2 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც სწავლობდა 535 სტუდენტი. წელს აღნიშნული სასწავლებლების რიცხვს ემატება თეატრალური ინსტიტუტი 119 სტუდენტით. სულ მალე ის სცენის ახალ ოსტატებს მოგვცემს.

1939 წელს ჩვენმა უმაღლესმა სასწავლებლებმა 3.632 სპეციალისტი გამოუშვეს. საქართველოს საწარმო-დაწესებულებებში 1939 წლის 1 იანვრისათვის 20.377 უმაღლეს სწავლადამთავრებული სპეციალისტი მუშაობდა.

ისეთი შესაძლებლობანი, როგორც დღეს, ხელოვნებას არასოდეს არ ჰქონია. თუ 1938 წელს საქართველოში 43 თეატრი მუშაობდა, 1939 წელს 49 თეატრი გვაქვს.

წინადადება შემომაქვს დამტკიცებულ იქნას 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. ღრმა რწმენას გამოვთქვამ, რომ ჩვენი ბიუჯეტი მთლიანად შესრულებული იქნება. ამის საწინდარია ის, რომ ჩვენს ქვეყანას კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, ამის საწინდარია ის, რომ ჩვენს წინსვლას გზას უკაფავს მშრომელი კაცობრიობის გენიალური მასწავლებელი, პროგრესიული კაცობრიობის საყვარელი ბელადი დიდი სტალინი **(მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

დეპუტატ კ. მ. თარგამაძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სს რესპუბლიკის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს III სესიაზე განსახილველად წარმოადგინა საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ, სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის განუყოფელი ნაწილია. სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ აღმავლობასთან ერთად, იგი ასახავს სოციალიზმის უდიდეს გამარჯვებებს, რომლებიც მოპოვებულია ჩვენს ქვეყანაში ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, საბჭოთა მთავრობის დახმარებით და იმ ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად, რომელსაც გვიწევს ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი 1933 წელთან შედარებით 4-ჯერ იზრდება. 1940 წლის ბიუჯეტის გასავლის ნაწილის 60 პროც. სოციალურ - კულტურულ ღონისძიებებს მოხმარდება. ასე, მაგალითად, ქალაქისა და სოფლის სკოლების ქსელს მიმდინარე წლის საბიუჯეტო ასიგნობათა ხარჯზე 132 ახალი სკოლა ემატება. მოწაფეთა რიცხვი დაწყებითს, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში 697.692 კაციდან 1939 წელს იზრდება 768.963-მდე.

1940 წელს ჯანმრთელობის დაცვის დარგში გათვალისწინებულია საავადმყოფო საწოლების რაოდენობის გადიდება ქალაქად 600 ერთეულით, ხოლო სოფლად 294 ერთეულით. სამშობიარო საწოლების რიცხვი რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით, როცა იგი 96-ს შეადგენდა, გაიზარდა 1678-მდე. ასეთ სოციალურ - კულტურულ ღონისძიებათა გატარება შესაძლებელია მხოლოდ ჩვენში — გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში.

მიმდინარე წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს უდიდეს ღონისძიებებს საგზაო მშენებლობის დარგში. მოსახლეობის აქტიური მონაწილეობისა და ბიუჯეტის ასიგნობათა საგრძნობი გადიდების შედეგად რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს მიმდინარე წელს ასეული კილომეტრი ახალი გზები შეემატება. რესპუბლიკური გზების მშენებლობისათვის გათვალისწინებულია 18.304,4 ათასი მანეთი, ხოლო ადგილობრივი გზებისათვის— 3.785,6 ათასი მანეთი. თუ ამას დავუმატებთ მოსახლეობის შრომითი მონაწილეობას, რომელიც 27.670 ათასი მანეთით განისაზღვრება, 1940 წელს საგზაო მშენებლობაზე დაიხარჯება 50 მილიონ მანეთამდე. მთელმა რიგმა რაიონებმა ფერგანელთა მეთოდებით მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის გამოყენების საუკეთესო ნიმუშები მოგვცეს გზების მშენებლობაში, მაგრამ, როგორც ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა აღნიშნა საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობაზე, „ჩვენში ჯერ კიდევ საკმაოდ არ იყენებენ საბჭოთა კავშირის მთელი რიგი ოლქებისა და მხარეების გამოცდილებას საგზაო მშენებლობაში მოსახლეობის მონაწილეობის გაძლიერების საქმეში". ამიტომ საჭიროა ამ დარგში საგრძნობლად გაიშალოს მუშაობა და მოსახლეობის ინიციატივის სწორი ორგანიზაციის შედეგად მივაღწიოთ იმას, რომ ყოველ რაიონს ჰქონდეს საუკეთესო გზები.

1940 წლის ბიუჯეტით კაპიტალური მშენებლობისათვის გათვალისწინებულია 112 მილიონ მანეთზე მეტი. ეს თანხა უზრუნველჰყოფს ახალი მძლავრი საწარმოების შექმნას და არსებული საწარმოების გაფართოებას, აგრეთვე საბინაო, კომუნალური მეურნეობის და სხვა დარგების მთელი რიგი ახალი ობიექტების ამოქმედებას.

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს ერთის მხრით საქონელბრუნვის გეგმის, ხოლო მეორე მხრით ყველა სამრეწველო და სამეურნეო ორგანიზაციის მიერ დაგროვებათა გეგმის აუცილებელი შესრულება. საქონელბრუნვის გეგმაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ ადგილობრივმა სასაქონლო რესურსებმა. ამისათვის აუცილებელია ფართო მოხმარების საქონლის წარმოების მაქსიმალური გადიდება.

1940 წლის პირველ კვარტალში საქონლის ბრუნვის გეგმა მხოლოდ 89,7 პროცენტით შესრულდა, რის შედეგად ბრუნვიდან შემოსავლელი გადასახადი ბიუჯეტში 16,3 მილიონი მანეთით შემცირდა. სესიის ყურადღება მინდა შევაჩერო აგრეთვე იმ ფაქტზე, რომ ზოგიერთ დაწესებულებასა და საწარმოში ადგილი აქვს სახელმწიფო სახსრების არასწორ ხარჯვას, ხოლო ზოგჯერ მათს გაფლანგვას. მარტო სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში 1939 წ. გაფლანგვა და მტაცებლობა 8.300 ათას მანეთს შეადგენდა, ხოლო საქართველოს სსრ ვაჭრობის სახ. კომისარიატის ხაზით—8.943 ათას მანეთს.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხანაგმა ვ. მ. მოლოტოვმა მიგვითითა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მეურნეობის ეკონომიკას და პროდუქციის ღირებულებას. ზოგიერთი წარმოება - დაწესებულების ხელმძღვანელს ეს გარემოება ავიწყდება. მარტო გეგმების რაოდენობრივი შესრულება არ ნიშნავს წარმოების ნაყოფიერ მუშაობას. პროდუქციის რაოდენობრივ შესრულებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თვითღირებულებას, ხარისხსა და ასორტიმენტს.

პროდუქციის თვითღირებულების გადიდებასთან ერთად რიგმა სახკომისარიატებმა, როგორც 1939 წელს, ისე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დაუშვეს ხელფასის ფონდების მნიშვნელოვანი გადახარჯვა, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ჩვენი მუშაობის დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის, რომ ვერ აღვმოფხვრეთ საბიუჯეტო დისციპლინის დარღვევის ფაქტები. გადახარჯვამ ფეხი მოიკიდა საამშენებლო ორგანიზაციების მუშაობაში, რაც აძვირებს მშენებლობის ღირებულებას. მაგალითად ინკმშენმა, ნაცვლად 4,3 პროცენტით შემცირებისა, მშენებლობის ღირებულება გაადიდა 1,8 პროცენტით. საქქარხმშენმა ნაცვლად 5 პროც. შემცირებისა, გააძვირა 1,4 პროცენტით. საქკვებმშენმა—4 პროცენტით, ნაცვლად 4,5 პროც. შემცირებისა.

თიანეთის რაიონში ლიმიტის გარეშე თანხებით ააგეს ელექტროსადგური, მაშინ როდესაც ეს მშენებლობა დამტკიცებული უნდა ყოფილიყო კაპიტალური მშენებლობის გეგმით. ჭიათურის რაიაღმასკომმა გაჰყიდა დიზელის დანადგარი და აღებული თანხით შეუდგა წყალსადენის ქსელის მშენებლობას, რომელიც, აგრეთვე ლიმიტირებულ მშენებლობად ითვლება. საფინანსო ორგანოები ადგილებზე ამ ობიექტებზე თანხებს ულაპარაკოდ აძლევენ.

რამდენიმე სიტყვა რაიონული მრეწველობის შესახებ. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1939 და 1940 წლებში მიღებულ ღონისძიებათა შედეგად რაიონული დაქვემდებარების მრეწველობის მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. 1939 წელს რაიონული მრეწველობის პროდუქცია 1938 წელთან შედარებით 31,1 პროცენტით გაიზარდა. 1940 წელს იგი კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს. ბიუჯეტით რაიონული მრეწველობა მნიშვნელოვნად ფინანსდება. ამ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება რაიონული მრეწველობის განვითარების შესახებ. გათვალისწინებულია კაპიტალური დაბანდება 15,4 მილიონ მანეთამდე, რითაც უზრუნველყოფილი იქნება 189 ახალი საწარმოს აგება. წინა წლიდან გადმოსული მშენებლობის დამთავრება და მთელი რიგი საწარმოების გაფართოება. გათვალისწინებულია აგურის, კრამიტის, კირის, კერამიკული საწარმოების, ხე-ტყის სახერხი ქარხნების, ავეჯეულობის წარმოების და სხვ. მშენებლობა. რაიონული მშენებლობის გაფართოებისათვის დიდი შესაძლებლობა არსებობს საბანკო კრედიტის გამოყენების სახითაც, მაგრამ უკანასკნელის გამოყენება ფართო მოხმარების საგნების გამოსაშვებად სუსტად სწარმოებს. ზოგიერთი რაიაღმასკომი არ იჩენს სათანადო ინიციატივას ადგილობრივი რესურსებიდან ფართო მოხმარების საგნების წარმოების ორგანიზაციის საქმეში. სამარცხვინოდ უნდა ჩაეთვალოს რაიონს, როცა იგი მშენებლობისათვის საჭირო მასალას,—კირს, აგურს და კრამიტს,—სხვა რაიონიდან ეზიდება. რაიონებს აქვთ საკმაო ნედლეულის მარაგი, მაგრამ ზოგიერთებს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებები ჯერ კიდევ არ გაუჩენია. ასეთებია საგარეჯოს, ალბულალის, ბორჯომის, ჩხოროწყუს, ბაღდათის, აბაშის, ბორჩალოს, გურჯაანის, ლანჩხუთის, ორჯონიკიძის, საჩხერის, ცაგერისა და წულუკიძის რაიაღმასკომები.

ადგილობრივი წარმოების გაფართოებაში დიდი როლი უნდა შეასრულონ ადგილობრივმა საგეგმო ორგანოებმა, მაგრამ ზოგიერთი რაიონული საგეგმო კომისია გულგრილად ეკიდება ამ მნიშვნელოვან საკითხს.

არ შეიძლება არ ვუსაყვედურო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ზოგიერთ დეპუტატსაც იმის გამო, რომ ისინი ადგილობრივ საბჭოებთან ერთად ადგილობრივი მრეწველობის გაშლის საქმეში უყურადღებობას იჩენენ, ნაკლებად აყენებენ საკითხს ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე ფართო მოხმარების საგნების გამოშვების ორგანიზაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც შედგენილია მესამე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის სახალხო სამეურნეო გეგმის შესაბამისად და რომელსაც ახლა სესია იხილავს, უზრუნველჰყოფს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ზრდას. ამავე დროს იგი მიმართულია ჩვენი სამშობლოს თავდაცვაუნარიანობის გაძლიერებისაკენ.

საქართველოს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, აღზრდილნი და გამოწრთობილნი ქართველი ხალხის საუკეთესო შვილის ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** მიერ, საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის ხელმძღვანელობით წარმატებით შეასრულებენ 1940 წლის ბიუჯეტს. ამის თავდებია მოსახლეობის თვითშეგნების ზრდა და უძლიერესი მორალურ-პოლიტიკური მთლიანობა ჩვენი ხალხისა, რომელიც მტკიცედ არის დარაზმული ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის და მთელი პროგრესიული კაცობრიობის ბელადის ამხანაგ **სტალინის** გარშემო.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მძლავრ სახელმწიფოს!

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საამაყო შვილს **ლ. პ. ბერიას!**

გაუმარჯოს მშრომელთა დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს! (ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

დეპუტატ გ. დ. ჩაჩიბაიას სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე დღეს ჩვენ ვიხილავთ მესამე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის სახელმწიფო ბიუჯეტს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1940 წლის ბიუჯეტი, რომელიც დასამტკიცებლად წარმოდგენილია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, ასახავს იმ დიდ წარმატებებს, რომლებიც მოპოვებულია საქართველოს სსრ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის აყვავებისა და მშრომელთა მატერიალური დონის ამაღლების დარგში. მე მხარს ვუჭერ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის წინადადებას, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი განისაზღვროს 1.227.451.000 მანეთის რაოდენობით.

საქართველოს 1940 წლის ბიუჯეტში ნათელ გამოხატულებას პოულობს ორდენოსანი საქართველოს უდიდესი გამარჯვებანი უკანასკნელი 9 — 10 წლის განმავლობაში. სტალინური ხუთწლედების მანძილზე საქართველოში ჩქარი ტემპებით გაიზარდა მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგები, როგორიც არის მანქანათმშენებლობა, სამთამადნო მრეწველობა, კვების მრეწველობა, მსუბუქი მრეწველობა. შექმნილია საქართველოს ნავთის ახალი მრეწველობა, უაღრესად განვითარებულია ელექტროენერგიისა და მრეწველობის სხვა დარგები. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფლის მეურნეობაში მიღწეული წარმატებები.

საქართველოს ბოლშევიკები, ქართველი ხალხი ამ დიდ წარმატებებს უმადლიან იმ ადამიანს, რომელიც 8—9 წლის განმავლობაში საქართველოსა და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებსა და მთელ ხალხს ზრდიდა ლენინ-სტალინის პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი ერთგულების სულისკვეთებით, იმ ადამიანს, ვინც საქართველო მსხვილი სოციალისტური მრეწველობისა და მოწინავე სოფლის მეურნეობის აყვავებულ რესპუბლიკად აქცია — ხალხთა დიდი ბელადის — სტალინის საუკეთესო მოწაფეს, საბჭოთა კავშირის სახელოვანი დაზვერვის მებრძოლ ხელმძღვანელს ამხანაგ **ლ. პ. ბერიას (ხანგრძლივი ტაში).**

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. კ. ციმაკურიძის და უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მიერ გამოქვეყნებული ციფრებიდან ნათელია ის, რომ ზუგდიდის რაიონის ბიუჯეტი ყოველწლიურად თვალსაჩინოდ იზრდება. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, რაიონული ბიუჯეტი 1940 წლისათვის განისაზღვრება 10.953.000 მანეთით. ზრდა 1939 წელთან შედარებით უდრის 10 პროცენტს. თუ რაიონის საკუთარი შემოსავალი 1939 წელს 4.099.600 მანეთს უდრიდა, 1940 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 5.467.000 მანეთი. სახალხო განათლების დარგში დაიხარჯება 6.223.000 მანეთი, ზრდა უდრის 18,2 პროცენტს. მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებზე გათვალისწინებულია 2.845.000 მანეთი, ზრდა გასულ წელთან შედარებით უდრის 14 პროცენტს. სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარების შედეგად მისი დაფინანსება გადიდებულია 22 პროცენტით.

რაიონული ბიუჯეტის ზრდა ნათელჰყოფს იმას თუ როგორი ჩქარი ტემპით ვითარდება ზუგდიდის რაიონში სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგი. სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების განუხრელად განხორციელების საფუძველზე გაძლიერდნენ და განმტკიცდნენ კოლმეურნეობები ორგანიზაციულად, ეკონომიურად და პოლიტიკურად. რაიონის კოლმეურნეობათა შეძლებულობის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენენ: ჩაის კულტურა, რომელიც 5.200 ჰექტარზე გვაქვს გაშენებული, მანდარინის, ფორთოხლის პლანტაციები, რომელთაც 2.000 ჰექტარი უკავიათ და სხვ. ციტრუსოვანი კულტურების განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა შესრულებულია 124 პროცენტით. ციტრუსების გაშენების მეორე ხუთწლიანი გეგმით 1940-44 წლებში ციტრუსები გაშენებული იქნება 1675 ჰექტარზე. ყოველწლიურად იზრდება სოფლის მეურნეობის მოსავლიანობა და შემოსავლიანობა. თუ 1938 წელს 3.834.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი იქნა დამზადებული, 1939 წელს დამზადებულ იქნა 5.147.599 კილოგრამი, ანუ გეგმის 105,6 პროცენტი. საშუალოდ თვითეული ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მიღებულია 2.000 კილოგრამი. მანდარინი დამზადებულ იქნა 5.491.200 ცალი, ანუ გეგმის 123,5 პროცენტი. ერთი ძირი მანდარინის ხიდან მივიღეთ 350 ცალი ნაყოფი.

1939 წელს ფულადი შემოსავალი კოლმეურნეობებში შეადგენდა 23.865.147 მანეთს. გასულ წელს 5 კოლმეურნეობა გახდა მილიონერი და ამდენივე ჩადგა მილიონერთა რიგებში. მიმდინარე წლის ბოლოს რაიონში იქნება 11 მილიონერი კოლმეურნეობა. სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში 1939 წელს მონაწილეობას ღებულობდნენ: 12 კოლმეურნეობა, მეცხოველეობის ერთი საკოლმეურნეო ფერმა, ჯოლეჯიანის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, რაიონული გაზეთი „მებრძოლი" და 230 მოწინავე ადამიანი. წელს კი ზუგდიდის რაიონი მთლიანად მონაწილეობს სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

სოფლის მეურნეობის ასეთ წარმატებებთან ერთად რაიონში ჩქარი ტემპით ვითარდება მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგები. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის, პირადად ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა და ამოქმედდა ინგურის ქაღალდის კომბინატი, რომლის ღირებულება 62 მილიონ მანეთს აღემატება. ყოველგვარი შესაძლებლობა არსებობს იმისათვის, რომ მიმდინარე წელს ჩვენ სახელმწიფოს ჩავაბაროთ გეგმით გათვალისწინებული მაღალხარისხოვანი ქაღალდი. ზუგდიდის ბერიას სახელობის ჩაის ფაბრიკამ გასული წლის გეგმა 101,9 პროცენტით შეასრულა. ნარაზენის ჩაის ფაბრიკის გასაფართოებლად წელს დაიხარჯა 1 მილიონ მანეთზე მეტი. მისი გამტარუნარიანობა 4 მილიონ კილოგრამს უდრის, ზუგდიდის საგრენაჟო ქარხანა ყოველწლიურად უშვებს 35.000 კილოგრამ აბრეშუმის ჰუის ხარისხოვან თესლს. ადგილობრივი მრეწველობის წარმოებები, თუ წინათ დეფიციტური იყვნენ, ახლა რენტაბელური გახდნენ. ქალაქ ზუგდიდში შენდება ჩაის საწნეხი ფაბრიკა, რომლის წლიური სიმძლავრე ნავარაუდევია 7.840 ტონის რაოდენობით, კოფეინის ქარხანა, რომელზედაც დაიხარჯება 8.000.000 მანეთი. 1941 წელს ჯოლეჯიანში დაიწყება ჩაის მესამე ფაბრიკის მშენებლობა.

ფართოდ გაიშალა სახალხო განათლების დაწესებულებათა ქსელი, დიდად გაუმჯობესდა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმე.

საქალაქო მეურნეობის მნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად, ხაზი უნდა გაესვას შემდეგ არასასურველ გარემოებას. კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატმა 1937 წელს დაიწყო წყალსადენის საკვლევაძიებო და საპროექტო სამუშაოები. ეს სამუშაოები დღემდე გრძელდება და უკვე დახარჯულია 152.000 მანეთი. მიუხედავად ამისა, ჯერ პროექტიც არ არის შედგენილი. ქალაქის 15.000-ანი მოსახლეობა დღესაც უწყალსადენოდ არის დარჩენილი.

შეჩერდები კიდევ ერთ საკითხზე. საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებულია ქაღალდკომბინატის ქვესადგურიდან ზუგდიდში ელექტროენერგიის გაყვანა, რისთვისაც ხარჯთაღრიცხვით 631.000 მანეთი არის გათვალისწინებული. პირველი რიგის სამუშაოები უკვე დამთავრებულია და დახარჯულია 214.000 მანეთი, მეორე რიგის სამუშაოებისათვის კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს სახსრები არა აქვს გათვალისწინებული. ამასთან უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის მიერ რაიონულ ბიუჯეტში ელექტროგანათებისა და კინოს შემოსავალი ნაანგარიშევია გადამეტებით. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია მისი გადასინჯვა.

ვთხოვთ საქართველოს უმაღლეს საბჭოს და სახალხო კომისართა საბჭოს მიიღონ მხედველობაში ეს გარემოებანი და 1940-41 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინონ სათანადო თანხები.

ამხანაგო დეპუტატებო! მესამე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის ამოცანები გვავალებს, რათა კიდევ უფრო განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება. მთელი მშრომელი მასები უნდა დავრაზმოთ სახელმწიფო ბიუჯეტის შესასრულებლად. მესამე სესიაზე განსახილველად წარმოდგენილი ბიუჯეტი რეალურია და ამის შესრულებისათვის ყოველგვარი პირობები და საშუალებები არსებობს.

ზუგდიდის რაიონის მშრომელები, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად, მტკიცედ დარაზმულნი და შემჭიდროვებულნი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, პროგრესიული კაცობრიობის უდიდესი გენიის დიდი **სტალინის** გარშემო, მტკიცე ნაბიჯით წავლენ წინ ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ. რადგან ჩვენი გზის მანათობელი ვარსკვლავი ლენინიზმია, ჩვენი გამარჯვების დროშა ლენინ-სტალინის მოძღვრებაა, ჩვენი ბელადი არის ხალხთა საყვარელი მეგობარი მშობლიური **სტალინი (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს დიდ **სტალინს! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, დარბაზი ფეხზე დგება).**

გაუმარჯოს ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, დარბაზი ფეხზე დგება).**

დეპუტატ დ. ა. დავითაძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! 1940 წლის ბიუჯეტი, რომელიც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ შემოტანილია ამ სესიაზე განსახილველად, უდავოდ წარმოადგენს მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელიც ასახავს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური სიძლიერის არაჩვეულებრივ ზრდას, განსაკუთრებით უკანასკნელი წლების განმავლობაში.

ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ხელმძღვანელობას სათავეში ჩაუდგა ქართველი ხალხის საამაყო შვილი ლავრენტი პავლეს-ძე **ბერია**, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის, მშრომელთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** პირად მითითებათა განუხრელად განხორციელების საფუძველზე, ორდენოსანმა საქართველომ უდიდეს წარმატებებს მიაღწია სახალხო მეურნეობის და სოციალისტური კულტურის მშენებლობის ყველა დარგში.

საკავშირო და საქართველოს სსრ ბიუჯეტის ზრდასთან ერთად სწრაფად იზრდება აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ბიუჯეტიც.

აჭარის რესპუბლიკის ბიუჯეტის ზრდაში ისევე, როგორც მისი სახალხო მეურნეობის ყველა დარგების ზრდაში, გამოხატულია ის განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა, რასაც ჩვენი პარტია და მთავრობა იჩენს ავტონომიური რესპუბლიკების მიმართ.

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა ახალი, მძლავრი სოციალისტური მრეწველობა.

1921 წელს აჭარის მრეწველობის საერთო პროდუქციის ღირებულება 1.700.000 მანეთს ძლივს აღწევდა, 1939 წელს კი მარტო სახელმწიფო მრეწველობის საწარმოებმა 199.511.400 მანეთის პროდუქცია გამოუშვეს, ე. ი. 117-ჯერ მეტი, ვიდრე 1921 წელს.

რევოლუციამდე არსებული აჭარის ისედაც მცირე და ჩამორჩენილი მრეწველობა კიდევ უფრო განადგურდა და გაპარტახდა მშრომელი ხალხის საზიზღარი, უბოროტესი მტრების—მენშევიკების ბატონობის დროს.

ამჟამად აჭარაში არსებული ფაბრიკა-ქარხნები ყველა საბჭოთა ხელისუფლების პირობებშია აგებული და რეკონსტრუირებული.

მრეწველობა აჭარაში სწრაფი ნაბიჯებით ვითარდება: მუშაობს საკავშირო რესპუბლიკანური მნიშვნელობის ჩაის 7 ფაბრიკა, რომლებმაც 1939 წელს 9.706 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი გადაამუშავეს, სტალინური ხუთწლედების მანძილზე ამოქმედდა ისეთი დიდი საწარმო, როგორიც არის ბათუმის ამხანაგ **სტალინის** სახელობის ნავთის გადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც საწარმოო გეგმას ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს, ამ საწარმოს კოლექტივმა 1939 წლის საწარმოო დავალება 109,3 პროცენტით შეასრულა.

აჭარის მრეწველობის სიამაყეს აგრეთვე წარმოადგენს ბათუმის ამხანაგ ბერიას სახელობის მანქანათმშენებლობის ქარხანა, რომელიც ჩვენი ქვეყნის მრეწველობისათვის ამზადებს ურთულეს მანქანებსა და მოწყობილობას. ბათუმის ინდუსტრიულ კერებს ამშვენებს აგრეთვე ბათუმის თამბაქოს, ფეხსაცმლის და სამკერვალო ფაბრიკები, კოფეინის ქარხანა, ტყავის ქარხანა, ციტრუსკომბინატი და სხვ. ექსპლოატაციაშია შესული ჰიდროელექტროსადგური მდინარე აჭარის წყალზე.

ძველი, დაქუცმაცებული, ჩამორჩენილი გლეხური მეურნეობის ნაცვლად საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შეიქმნა მძლავრი საბჭოთა მეურნეობანი და კოლმეურნეობანი.

1928 წელს 237 მეურნეობა, ე. ი. გლეხური მეურნეობის საერთო რიცხვის მხოლოდ 3,2 პროცენტი იყო გაერთიანებული კოლმეურნეობაში.

1937 წელს 10.230 მეურნეობა იყო გაერთიანებული, რაც 67,9 %-ს შეადგენს. ამჟამად კოლმეურნეობებში 17.759 მეურნეობაა გაერთიანებული, რაც გლეხური მეურნეობის საერთო რიცხვის 97,1 პროცენტს შეადგენს.

აჭარის სოფლის მეურნეობაში წამყვანი ადგილი სპეციალურმა ტექნიკურმა კულტურებმა დაიკავეს.

1921 წელს აჭარაში ჩაის კულტურას 898 ჰექტარი ეჭირა, 1939 წელს კი—5391 ჰექტარი. 1940 წელს სახელმწიფოს უნდა ჩაბარდეს 10.421 ტონა ჩაი.

აჭარა ციტრუსოვან ბაღნარად გადაიქცა, თუ ციტრუსები 1921 წელს მხოლოდ 397 ჰექტარზე იყო გაშენებული, 1940 წელს მის პლანტაციებს 7725 ჰექტარი უჭირავს ლიმონის ფართობებთან ერთად. ყოველწლიურად იზრდება ციტრუსების მოსავლიანობა. 1939 წელს კი აჭარამ სახელმწიფოს ჩააბარა სამასი მილიონი ცალი ციტრუსი.

შეუნელებლად იზრდება კოლმეურნეობათა შემოსავლიანობა და კოლმეურნეთა შეძლებული და კულტურული ცხოვრება.

საბჭოთა აჭარის სოციალისტური სოფლის მეურნეობის შესანიშნავ წარმატებებზე ლაპარაკობენ ის ექსპონატებიც, რომლებიც გამოფენილია სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს პავილიონის სტენდებზე; ამ წარმატებებზე ლაპარაკობენ საბჭოთა აჭარის ის მოწინავე ადამიანები. პარტიის მიერ აღზრდილი მშვენიერი კადრები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ გამოფენაში. თუ გასულ წელს აჭარიდან გამოფენაში მონაწილეობას ღებულობდა 10 საბჭოთა მეურნეობა, 27 კოლმეურნეობა, 113 ბრიგადა, სოფლის მეურნეობის 257 მოწინავე, ნოვატორი სპეციალისტი,—წელს მონაწილეობს 15 საბჭოთა მეურნეობა, 22 კოლმეურნეობა, სოფლის მეურნეობის 809 მოწინავე ნოვატორი, სპეციალისტი. დაჯილდოვებულია 1939 წ. გამოფენის მონაწილე მრავალი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სოფლის მეურნეობის ნოვატორი, 55 კაცი დაჯილდოვებულია მედლებით, ხოლო ოჩხამურის სტალინის სახელობის საბჭოთა მეურნეობა—საპატიო ნიშნის ორდენით.

1938 წელს აჭარის კოლმეურნეთა საერთო შემოსავალი 28.960.700 მანეთს უდრიდა, 1939 წელს კი ის გაიზარდა 32.551.600 მანეთამდე, ხოლო 1940 წელს კოლმეურნეობათა შემოსავალი ნავარაუდევია 41.500.000 მანეთის რაოდენობით.

საგრძნობლად გაიზარდა შრომადღის ღირებულება, მთელ რიგ კოლმეურნეობებში შრომადღეზე 12-14 მანეთი დარიგდა ფულად.

აჭარის 214 კოლმეურნეობიდან 5 კოლმეურნეობა მილიონერია.

სოფელ დაგვის (ქობულეთის რაიონი) ამხ. ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ გასულ წელს მიიღო 3.122.990 მანეთი შემოსავალი, სოფელ ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობამ—1.464.100 მანეთი და სოფელ აჭყვის კოლმეურნეობა „წითელმა ოქტომბერმა"—1.532.510 მანეთი.

წარსულში დამონავებული, უუფლებო ქალი,—დღეს სოციალიზმის აქტიური მშენებელია. ლენინის სახელობის ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ტატიანა ცინცაძემ 30 მაისს მოკრიფა 301 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის მწვანე ფოთოლი. ამ დღეს მან კრეფის დღიური ნორმა 1678 პროცენტით შეასრულა.

არაჩვეულებრივად გაიზარდა სასკოლო ქსელი და მოსწავლეთა რაოდენობა. თუ 1921 წელს აჭარის 32 სკოლაში 2.684 მოსწავლე სწავლობდა, 1939-40 სასწავლო წელს გვაქვს 434 სხვადასხვა ტიპის სკოლა, რომლებშიაც 36.070 მოსწავლე ირიცხება. წინათ აჭარაში მხოლოდ ორი საშუალო სასწავლებელი იყო, ამჟამად კი 95 საშუალო სკოლაა და ერთი უმაღლესი სასწავლებელი. მარტო 1939 წელს განათლების საქმეზე აჭარაში დაიხარჯა 22.717 ათასი მანეთი.

წინათ აჭარელი მშრომელი ხალხი მოკლებული იყო კულტურულ კერებს, არ ჰქონდა თეატრი, კინო. ამჟამად ქალაქ ბათუმში მუშაობს აჭარის სახელმწიფო თეატრი და ორი კინოთეატრი; ყველა რაიონს აქვს კლუბები და კინო-დანადგარები.

ბათუმში შენდება ახალი თეატრი 1000 ადგილის ტევადობით, რომლის საპროექტო ღირებულება 5 მილიონ მანეთს უდრის.

ამხანაგო დეპუტატებო! სახალხო მეურნეობისა და სოციალისტური კულტურის მშენებლობის ზრდასთან ერთად წლითიწლობით იზრდებოდა და იზრდება აჭარის ასსრ სახელმწიფო ბიუჯეტი.

აჭარის ასსრ ბიუჯეტის შესრულების დინამიკას შემდეგი ციფრები ახასიათებს: 1924 წელს—2.271.500 მანეთი, 1932 წელს—12.385.500 მანეთი, 1937 წელს—41.835.300 მანეთი და 1939 წელს 56.843.300 მანეთს. ეს ციფრები ნათელყოფენ ორდენოსანი საქართველოს განუყრელი ნაწილის—მზიური საბჭოთა აჭარის სახალხო მეურნეობის განუწყვეტელ ზრდას და აჭარელი ხალხის კულტურულ აღმავლობას. ეს იმის შედეგია, რომ მთელი რიგი წლების განმავლობაში ყოველდღიურ მზრუნველობას გვიწევდა დიდი **სტალინის** საუკეთესო მოწაფე და თანამებრძოლი, ქართველი ხალხის სიამაყე ლავრენტი პავლეს-ძე **ბერია.**

ამხანაგო დეპუტატებო! მე სავსებით ვუერთდები იმ აზრს, რომ დამტკიცდეს წარმოდგენილი ბიუჯეტი იმ შესწორებათა გათვალისწინებით, რომლებიც საბიუჯეტო კომისიამ შემოიტანა, ვინაიდან ამ ბიუჯეტში გამოხატულია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რაიონების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის მშრომელთა ინტერესები და უზრუნველყოფილია ორდენოსანი საქართველოს მშრომელთა შემდგომი წინსვლა კომუნიზმის ბრწყინვალე გზაზე.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად უძლეველ პარტიას!

გაუმარჯოს ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას!

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ხალხთა საყვარელ ბელადს, ჩვენს მშობლიურ დიდ **სტალინს! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ომი დასავლეთ ევროპაში

საომარი მოქმედების დღიური

8 ივნისი

საფრანგეთში გერმანიის ჯარის მეორე შეტევა, რაც 5 ივნისს დაიწყო, გაცილებით უფრო ნელა ვითარდება, ვიდრე პირველი შეტევა.

საფრანგეთის სარდლობამ მოასწრო გაეთვალისწინებინა და გამოეყენებინა პირველი დამარცხების სამწუხარო გამოცდილება; მან გააძლიერა ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვა, ღრმა ეშელონებად მოაწყო იგი, და ფართოდ იყენებს თავისი ავიაციის ძირითად მასას ფრონტის ხაზზე. ამის გარდა, როგორც უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს, საფრანგეთის ჯარმა თავდაცვის სიღრმეში შეუშვა გერმანიის ტანკები და ცდილობს მოსწყვიტოს ქვეითი ჯარი, რომელიც ამ ტანკებს მიჰყვება.

გერმანიის შეტევის ნელა განვითარება შეიძლება კიდევ იმით აიხსნას, რომ ამ შეტევაში მეტ წილად მონაწილეობას იღებენ სარეზერვო დივიზიები, რომელთა ბრძოლისუნარიანობა უფრო ნაკლებია, ვიდრე კადრისა და პირველი რიგის ჯარების. იგივე უნდა ითქვას სასწრაფოდ შევსებული და აღდგენილი ჯავშანსატანკო შენაერთების მატერიალურ ნაწილზედაც. ყოველივე ამის გამო არ უნდა მოველოდეთ ახალი ბრძოლის სწრაფად გაჩაღებას.

სამი დღის მკაცრი ბრძოლის შედეგად გერმანიის ჯარმა შესძლო მხოლოდ სოლივით შეჭრილიყო საფრანგეთის თავდაცვის პოზიციების სიღრმეში. გერმანელები ყველაზე მეტად შეიჭრნენ აბვილ-ამიენის ფრონტის უბანზე, სადაც საფრანგეთის ჯარი იძულებული იყო უკან დაეხია 20-25 კილომეტრით.

ამ რაიონში შეჭრილმა გერმანიის ტანკებმა თუმცა მიაღწიეს კიდეც ქალაქ ფორჟ-დეზ-ოს, მაგრამ, როგორც საფრანგეთის ცნობებიდან სჩანს, ისინი იზოლირებული არიან იმ მოტომექანიზებული ნაწილებისაგან, რომლებიც ამ ტანკებს მიჰყვებოდნენ.

კომპიენ-სუასონის რაიონში დაწყებულმა ბრძოლამაც ვერ მისცა ჯერჯერობით გერმანელებს დიდი შედეგები. გერმანიის ჯარის ცდა გადაელახა მდინარე ენი, სუასონის აღმოსავლეთით, საფრანგეთის ცნობების თანახმად, მოგერიებულ იქნა. ამგვარად, საფრანგეთის ჯარის თავდაცვის ფრონტი ფაქტიურად ჯერ კიდევ არ არის გარღვეული. ადვილად შესაძლებელია, რომ გერმანიის სარდლობა, რომელმაც ფართო ფრონტზე დაიწყო შეტევა, მიზნად ისახავს შეჰბოჭოს საფრანგეთის ჯარი და გაარღვიოს ფრონტი სხვა ადგილას.

როგორიც უნდა იყოს, ამჯერად საფრანგეთის არმია უფრო მომზადებული აღმოჩნდა გერმანიის ახალი შეტევისათვის და გადამწყვეტ წინააღმდეგობას უწევს მას.

გერმანიის ავიაციამ, შეტევაზე გადასული ჯარისათვის დახმარების გაწევის გარდა, სადაზვერვო ფრენა მოახდინა ინგლისის აღმოსავლეთ და სამხრეთ სანაპიროზე. (საკდესი).

საომარი მოქმედება საფრანგეთში

პარიზი, 8 ივნისი (საკდესი). სომასა და უაზზე სასტიკი ბრძოლა გრძელდება. იგი უკვე რამდენიმე დღეა სწარმოებს. როგორც პარიზის სამხედრო წრეებში ფიქრობენ, ახლა შეიძლება გერმანიის სარდლობის სტრატეგიული მანევრის გარკვევა. გერმანიის ჯარი, როგორც სჩანს, ცდილობს ფლანგებიდან შემოუაროს საფრანგეთის თავდაცვის ხაზს, რათა ხელთ იგდოს ჰავრი და პარიზი. უფრო ახლო ობიექტებს წარმოადგენენ ლე-ტრეპორი და მდინარე ბრელის ხეობა, დიეპი და მდინარე არკის, ბეტიუნისა და ოლნის ხეობები, შემდეგ ჰავრი და ქვემო სენის ხეობა. მეორე, აგრეთვე ახლო ობიექტებს წარმოადგენენ სუასონი, ვილერკოტრეს ტყის მასივები, კომპიენი ტყის მასივებითურთ და პარიზის მისასვლელებთან მდებარე სანლისი.

გერმანიის ძალების ყველა ოპერაცია 6 და 7 ივნისის განმავლობაში დაქვემდებარებული იყო ამ ამოცანის შესრულებისადმი. უნდა აღინიშნოს, რომ 6 ივნისის ოპერაციები არაჩვეულებრივად მძლავრი ენერგიით ხორციელდებოდა. არსებითად ეს იყო ტანკების უზარმაზარი ბრძოლა. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ დაახლოებით 200 კილომეტრიან ფრონტზე გერმანელებმა გამოიყვანეს 2.000 ტანკი, ოთხი თუ ხუთი ჯავშნოსანი დივიზია, რომლებმაც განსაკუთრებული ხასიათი მისცეს ბრძოლას. გერმანელები ყველგან ერთსა და იმავე ტაქტიკას მიმართავენ. იმ დროს, როცა მათი მოპიკირე თვითმფრინავები თავს ესხმიან საფრანგეთის ჯარს, ტანკები წინ მიეშურებიან და სოლივით იჭრებიან.

გაზეთ „ევრის" სამხედრო კორესპონდენტი მოგვითხრობს, თუ როგორ მიჰყავთ გერმანელებს ტანკები იერიშზე. გერმანელები—სწერს იგი,—ჩვენს წინააღმდეგ ეწევიან ომს, რომელიც გვაოცებს იმიტომ, რომ იგი სრულიად არა ჰგავს 1914-1918 წლების ომს. უკვე აღარ არის საარტილერიო შემზადება. მოიერიშენი, რომელნიც ნამდვილი ღრუბლებივით მოდიან, ანადგურებენ ჩვენს დასაყრდენ პუნქტებს, განლაგებულს არა განუწყვეტელი ფრონტით, არამედ სიღრმეში რამდენიმე, ზოგჯერ 10-20 კილომეტრზე. შემდეგ წინ მიეშურება მოტორიზებული კავალერია: ჯავშნიანი მანქანები და მსუბუქი ტანკები მოტოციკლისტების თანხლებით. თუ ეს პირველი რაზმები სუსტ წინააღმდეგობას ხვდებიან, ისინი წინ მიიწევენ და მათ მაშინვე მიჰყვებიან დიდი ჯავშანსატანკო ნაწილები, რომლებშიაც შედიან: ასობით მძიმე და მსუბუქი ტანკი, ქვეითი ჯარის ჯავშნიანი კოლონები, ტრანსპორტი საწვავითა და საბრძოლო მასალითურთ, ჯავშნიანი და მოტორიზებული არტილერიის პოლკები. გერმანელთა ამ ტაქტიკას ფრანგები უპირისპირებენ თავიანთ თავდაცვითს პოზიციებს. ამჟამად ფრონტი არ წარმოადგენს ხაზს, როგორც უწინ იყო. ეს არის ზონა, რომლის სიღრმე 10-15 და 20 კილომეტრს აღწევს. ამ ზონის შიგნით მოწყობილია დასაყრდენი პუნქტები, შენიღბული ბუნებრივი დაბრკოლებებით, ნიადაგის უსწორმასწორობით და სხვ. როცა გერმანიის ტანკები წინააღმდეგობის ზონაში შედიან, მათ საარტილერიო ცეცხლით ხვდებიან დასაყრდენი პუნქტები.

საფრანგეთის სარდლობის აზრით, საერთოდ მდგომარეობა ამჟამად ხელსაყრელია საფრანგეთის ჯარისათვის.

საფრანგეთის სამხედრო სარდლობის წარმომადგენლის განცხადება

ლონდონი, 8 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ როგორც საფრანგეთის სამხედრო სარდლობის წარმომადგენელმა დღეს დილით განაცხადა, გერმანიის ერთერთმა სატანკო კოლონამ შესძლო საფრანგეთის თავდაცვის ხაზის სიღრმეში შეჭრა. მაგრამ საფრანგეთის ჯარმა ამ კოლონის იზოლაცია მოახდინა და მოუსპო მას გერმანიის ქვეითი ჯარისაგან დახმარების მიღების საშუალება. საფრანგეთის ჯარის სარდლობამ ზომები მიიღო ტანკების გარშემოსარტყმელად.

საფრანგეთის სამხედრო სარდლობის წარმომადგენელმა განაცხადა აგრეთვე, რომ საფრანგეთის ჯარის უკანდახევა ფრონტის ცენტრალურ ნაწილში (ამიენის, პერონისა და ნელიამის რაიონში) იმ მიზნით მოხდა, რომ გაესწორებინათ თავდაცვის ხაზი გერმანელთა ჯარის წინსვლასთან დაკავშირებით ფრონტის ორივე ხაზზე) სომის დასავლეთით და ელეტის არხის აღმოსავლეთით მდინარე ენისაკენ.

უკანასკნელი ცნობები

საფრანგეთის სამხედრო სარდლობის ცნობები

პარიზი, 9 ივნისი (საკდესი). საფრანგეთის სარდლობამ გუშინ საღამოს შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა საომარი მოქმედების შესახებ: „გუშინ მთელ დღეს ბრძოლა იყო ზღვასა და შმენ-დე-დამს შორის. უაზის დასავლეთით მოწინააღმდეგემ შეანელა მოძალება მდინარე ბრელის ქვედა წელის რაიონში და მთელ ძალებს თავი მოუყარა ფართო ფრონტზე ომალსა და რუაიონს შორის. მოწინააღმდეგის ქვეითი დივიზიები, რომლებიც აქამდე ზურგში იყვნენ, პოზიციებზე გამოვიდნენ. მტერმა, რომელსაც ეხმარებოდა ძლიერი არტილერია, თავისი სასროლო საშუალებანი შეუერთა ჯავშან-სატანკო დივიზიების სასროლო საშუალებებს, რომლებიც ბრძოლაში წინა დღეებში ჩაებნენ. ბრძოლაში მონაწილეობას იღებს ოცზე მეტი ახალი დივიზია გარდა შვიდი ჯავშანსატანკო დივიზიისა, რომელთაც წინა დღით დაიწყეს მოქმედება".

ცნობაში აღნიშნულია, რომ საფრანგეთის დივიზიები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. „უაზის აღმოსავლეთით,—ნათქვამია შემდეგ ცნობაში,—მტრის შემოტევა აგრეთვე გაძლიერდა. მან აქაც ახალი დივიზიები და ჯავშნიანი მანქანები გამოგზავნა ბრძოლაში. ამ ახალი ძალების მეოხებით მან დაიკავა პოზიციები მდინარე ენის სამხრეთით მდებარე მაღლობებზე. ჩვენი ჯარის ნაწილები ტერიტორიის ყოველ გოჯს იცავენ.

ავიაცია, რომელიც მთელ დღეს ინტენსიურად მოქმედებდა მეტად ენერგიულად ესხმოდა თავს მოწინააღმდეგეს. თვითმფრინავები ზარბაზნებს ესროდნენ მოწინააღმდეგის ტანკებს. ყუმბარები დაუშინეს მრავალრიცხოვან აეროდრომებს; გაფანტულ იქნა ალალები, რომლებიც გზებზე მიდიოდნენ. ნაშუადღევს 150-ზე მეტმა თვითმფრინავმა საფრანგეთისა და ინგლისის ავიაგამანადგურებელთა მფარველობით დიდძალი ყუმბარები დააყარეს მოწინააღმდეგის კოლონებსა და ჯარის შეჯგუფებებს.

საზღვაო ავიაციის ესკადრილიამ 6 ივნისს ღამით ყუმბარები დაუშინა ზოგიერთ ქარხანას ბერლინის გარეუბანში. ყველა თვითმფრინავი თავიანთ ბაზაში დაბრუნდა".

პარიზი, 9 ივნისი (საკდესი). დღევანდელი დილის ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია: „ბრძოლა წინანდებური გაფთრებით გრძელდება იმ პოზიციებზე, რომლებზედაც უკვე რამდენიმე დღეა იერიში მოაქვთ: ბრძოლა გავრცელდა აღმოსავლეთით—არგონამდე. განთიადისას მოწინააღმდეგემ ახალი განსაკუთრებით ძლიერი იერიში დაიწყო, რომელმაც მოიცვა შატო-პორსიენსა და შენ-პოპულეს შორის მდებარე რაიონი".

გერმანიის სარდლობის ცნობა

ბერლინი, 9 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურომ გამოაქვეყნა გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკის შემდეგი ცნობა:

„სომისა და უაზის რაიონში ოთხი დღის ბრძოლის შედეგად გერმანიის ქვეითმა ჯარმა და ჯავშნიანმა დივიზიებმა ავიაციასთან მჭიდრო თანამოქმედებით დაამარცხეს მოწინააღმდეგის ძლიერი შენაერთები და აიძულეს მტრის ჯარის ნაწილი უკან დაეხია. მოწინააღმდეგემ სცადა შეეჩერებინა გერმანიის ჯარის შეტევა, რაც უშედეგოდ დამთავრდა. ქვემო სენის მიმართულებით გერმანიის ჯარმა გაარღვია მოწინააღმდეგის ზურგის თავდაცვითი ხაზი და ხელთ იგდო დიდძალი სამხედრო საჭურველი და სურსათი. გერმანიის ავიაცია დახმარებას უწევდა გერმანელთა ჯარს სომის სამხრეთით აყრიდა ყუმბარებს სავლე და საზენიტო არტილერიის პოზიციებს, აგრეთვე ყველა სახეობის ჯარის სალაშქრო კოლონებს, იმ ადგილებს, სადაც თავმოყრილი იყო ჯარები და ჯავშანსატანკო შენაერთები. აღმოსავლეთით გერმანელთა დივიზიები სდევნიან მტერს. გერმანელთა ჯარმა გადალახა მდინარე ენი სუასონის ორივე მხარეზე. დღეს დილა ადრიანად გერმანელთა ჯარის ახალი ნაწილები საფრანგეთში შეტევაზე გადავიდნენ მთელ ფრონტზე. გერმანიის ავიაციამ კვლავ წარმატებით დაუშინა ყუმბარები შერბურგის ნავსადგურს. ყუმბარები დაუშინეს აგრეთვე დიდძალ აეროდრომებს, რომლებიც მდებარეობენ პარიზის ჩრდილოეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, აგრეთვე პარიზის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე გზებსა და რკინიგზის ხაზებს. მტრის საერთო დანაკლისი ჰაერში გუშინდელი დღის განმავლობაში 58 თვითმფრინავს შეადგენს. აქედან 39 თვითმფრინავი ჩამოგდებულია საჰაერო ბრძოლებში, 13 საზენიტო არტილერიით, დანარჩენი განადგურებულია მიწაზე. გარდა ამისა ჩამოგდებულია ერთი მისაბმელი აეროსტატი: გერმანიის 9 თვითმფრინავი არ დაბრუნებულა თავიანთ ბაზებში.

გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალები, მათს შორის სახაზო გემები „გნეიზენაუ" და „შარნჰორსტი" ადმირალ მარშალის სარდლობით მონაწილეობას იღებდნენ ჩრდილოეთის ზღვაში წარმოებულ ოპერაციებში და მტრის ყურადღებას არიდებდნენ ნარვიკის რაიონში მებრძოლ გერმანიის ჯარს. 8 ივნისს გერმანიის ძალებმა ყუმბარა მოარტყეს ინგლისის ავიამზიდ „გლორიუს" (22.500 ტონა) და ინგლისის ერთ საესკადრო ნაღმოსანს. გერმანიის ძალების მეორე ჯგუფმა გაანადგურა დიდი სამხედრო ტრანსპორტი „ორამა" (21.000 ტონა), ინგლისის საზღვაო ტანკერი „ოილ პაიონირი" (9.100 ტონა) და წყალქვეშა ნავების ერთი უახლესი კონსტრუქციის გამანადგურებელი. გერმანიის ძალების ამავე ჯგუფმა შემდეგ რამდენიმე ასეული ტყვე წამოიყვანა. გერმანიის შეიარაღებული ძალები განაგრძობენ თავიანთ ოპერაციებს.

8 ივნისს ღამით მტერმა გაიმეორა საჰაერო თავდასხმები დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე. მაგრამ ამ თავდასხმებს არავითარი ზიანი არ მიუყენებია სამხედრო ობიექტებისათვის".

გერმანიის ჯარის დიდი შეტევა დასავლეთის ფრონტზე

ლონდონი, 9 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, რომ საფრანგეთის სამხედრო წრეებში მიღებული ცნობების თანახმად გერმანელებს შეუნელებიათ მიძალება მდინარე ბრელის რაიონში და ახალ დიდ შეტევაზე გადასულან ომალსა და ნუაიონს შორის მდებარე ფრონტზე, რომლის სიგანეც დაახლოებით ას კილომეტრს უდრის. ფრონტის ამ უბანზე გერმანიის სარდლობა შეტევაზე გადავიდა დაახლოებით 300 ათას ჯარისკაცით. მოწინააღმდეგის მიერ უაღრესად ძლიერი მიწოლის გამო საფრანგეთის ჯარმა უკანდახევა იწყო. გერმანელები დიდ შეტევაზე გადავიდნენ აგრეთვე მდინარე ენის რაიონში, სადაც მათ, მიუხედავად საფრანგეთის ჯარის გაფთრებული კონტრიერიშებისა, დაიკავეს მაღლობები მდინარის სამხრეთით. კარგად ინფორმირებული სამხედრო წრეები იმ ბრძოლას, რომელიც ამჟამად ლა-მანშის სრუტესა და შმენ-დე-დამს შორის სწარმოებს, ახასიათებენ როგორც „უდიდეს ბრძოლას კაცობრიობის მთელს ისტორიაში". 150 კილომეტრის სიგანის ფრონტზე გერმანელებმა გუშინ დილით ბრძოლაში გაგზავნეს თითქმის ნახევარმილიონი კაცი და 4 ათასი ტანკი.

მოკავშირეთა ჯარების გადაჯგუფება ახლო აღმოსავლეთში

ბერლინი, 9 ივნისი (საკდესი). გაზეთ „ფელკიშერ ბეობახტერის" კორესპონდენტი სტამბოლიდან იუწყება, რომ მოკავშირეთა დიდძალი ჯარები, რომლებიც ახლო აღმოსავლეთში იყვნენ ჩასხეს გემებში და იგზავნებიან გაურკვეველი მიმართულებით. ფიქრობენ, რომ ჯარების ეს გადაყვანა გამოწვეულია იტალიის საომარი სამზადისით. შემდეგ გაზეთი სწერს, რომ ჩრდილოეთ ეგვიპტეში ამ უკანასკნელ დღეებში გაძლიერდა სამხედრო სამზადისი. პორტ-საიდსა და სუეცს შორის მდებარე მხარე დაიხურა კერძო გემების მიმოსვლისათვის. არხის ზონაში ამაგრებენ ინგლისის დასაყრდენ პუნქტებს, ხდება ქალების, ბავშვების, მოხუცთა და ავადმყოფთა ევაკუაცია.

ბერლინისა და გერმანიის სხვა ქალაქების ბომბარდირება

ლონდონი, 8 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს საფრანგეთის საადმირალოს შემდეგს ცნობას: „7 ივნისს ღამით საფრანგეთის საზღვაო ფლოტის საავიაციო რაზმმა ყუმბარები დაუშინა რამდენიმე ქარხანას ბერლინის გარეუბნებში. ყველა თვითმფრინავი თავიანთ ბაზაში დაბრუნდა".

ბერლინი, 8 ივნისი (საკდესი). გერმანიის პრესა კვლავ გადმოგვცემს ცნობას, რომ ღამით მოკავშირეთა ავიაცია თავს დაესხა გერმანიის ქალაქებს.

ბიულეტენი „დინსტ აუს დოიჩლანდი" აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელ დღეებში თავს დაესხნენ მემინგენის, მორბახის, ინგელჰაიმისა და სხვა რაიონებს. ყუმბარები დაუშინეს აგრეთვე მაინის ფრანკფურტს, ჰამბურგს, მიუნხენს და სხვა ქალაქებს. მაინის ფრანკფურტში რამდენიმე ყუმბარა დაეცა ქალაქის ცენტრალურ ნაწილში. დაინგრა მთელი რიგი შენობები. მოკლულია რამდენიმე კაცი. გაზეთი „ჰამბურგერ ფრემდენბლატი" იუწყება, რომ 6 ივნისს ღამით მოწინააღმდეგის 20 თვითმფრინავმა არაერთხელ დაუშინა ყუმბარები ჰამბურგსა და მის მიდამოებს. არიან მოკლულნი და დაჭრილნი. გაზეთის სიტყვით რამდენიმე ბომბარდირების შედეგად ქალაქში დანგრეულია 13 შენობა.

პარიზის დაცვის ახალი ღონისძიებანი

ბუდაპეშტი, 8 ივნისი (საკდესი). „პოპოლო დი რომას" ცნობით, პარიზში ახალ ღონისძიებებს იღებენ იმ შემთხვევისათვის, თუ საჭირო გახდა დაცვა: აგებენ ბარიკადებს ქუჩებში, ჰკეტავენ მისასვლელ გზებს და გამაგრებულ პუნქტებად აქცევენ სახლებს.

„ფრანკფურტერ ცაიტუნგი" სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ

ბერლინი, 8 ივნისი (საკდესი). გაზეთმა „ფრანკფურტერ ცაიტუნგმა" მოათავსა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისადმი მიძღვნილი სტატია სათაურით „მასობრივი უნივერსიტეტი".

„მოსკოვში,—ნათქვამია სტატიაში,— კვლავ გაიხსნა დიდი სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. საბჭოთა კავშირის პირველ სასოფლო-სამეურნეო გამოფენას ეკავა უდიდესი ფართობი, დაახლოებით 140 ჰექტარი. ამ ფართობის მოწყობას რამდენიმე წელი დასჭირდა. გამოფენის მასალები მოთავსებულია სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით. გამოფენაზე ნაჩვენებია უზარმაზარი 15-სახნისიანი, გუთნები, დიდი სათესი მანქანები, რომელთა სამუშაო სიგანე 21 მეტრს აღწევს და სხვ. მანქანები.

მოსკოვის გაზეთები სასოფლო-სამეურნეო გამოფენას მასობრივ უნივერსიტეტს უწოდებენ. ქვეყნის ყველა კუთხიდან მოსკოვში მიდიან დამთვალიერებლები, კოლმეურნეები და სოფლის მეურნეობის სხვა მუშაკები. ისინი სპეციალისტთა თანხლებით ეცნობიან პავილიონს და ცნობებს იწერენ; თავიანთ ბლოკნოტებში ისინი იწერენ იმას, რაც მათი ადგილის სპეციფიკურ პირობებს შეესაბამება. ისინი კითხულობენ, თუ რა სასუქის საშუალებით შეიძლება მაღალი მოსავლის მიღება. მრავალრიცხოვან პავილიონებში ვხედავთ საბჭოთა კავშირის ყველა ოლქის სოფლის მეურნეობის მრავალფეროვნებას".

რუზველტის განცხადება

ნიუ-იორკი, 8 ივნისი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რუზველტმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს მოიწონა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" მოწინავე, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში სამხედრო ბეგარის შემოღების წინადადებას იძლევა. რუზველტმა, განაცხადა, რომ მან თხოვნით მიჰმართა კონგრესს ნება დართოს მთავრობას, რომ სამხედრო ქარხნებს გადასცეს ძველი საარტილერიო იარაღი.

მთავრობას განზრახული აქვს სამხედრო ქარხნების მფლობელთ გადასცეს დიდძალი „მოძველებული" და „ზედმეტი" თვითმფრინავები, საარტილერიო ქვემეხები და სხვა იარაღი იმ მიზნით, რომ იგი უახლესი ტიპის იარაღით შეიცვალოს.

რუზველტის მიერ წარმოდგენილი ეს ღონისძიება სამხედრო მეწარმეთ საშუალებას მისცემს მიჰყიდონ მოკავშირეებს „კერძო წესით" არმიის კუთვნილი იარაღი ისევე, როგორც ახლა თვითმფრინავებს ჰყიდიან. გარდა ამისა, ეს საშუალებას მისცემს ინგლისსა და საფრანგეთს სასწრაფოდ შეიძინონ ამერიკის არმიისა და ფლოტის საჭურველი ისე, რომ ნეიტრალიტეტი ტექნიკურად არ დაირღვეს.

ოქროს გაგზავნა ევროპიდან ამერიკაში

პარიზი, 8 ივნისი (საკდესი). გაზეთი „ექსელსიორი" იუწყება, რომ „ინგლისის, საფრანგეთის, ჰოლანდიისა და ბელგიის ოქროს მარაგი შეერთებულ შტატებში გაიგზავნა.

71. 750.000 გირვანქა სტერლინგი 3 ივნისს გადაეცა ნიუ-იორკის ფედერალურ სარეზერვო ბანკს. ამჟამად უცხოეთის ოქროს მარაგი შეერთებულ შტატებში 56½ მილიარდ ფრანკს შეადგენს".

კანადა იწყებს ტანკების დამზადებას ინგლისისათვის

ნიუ-იორკი, 8 ივნისი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, კანადის მთავრობამ გამოაცხადა, რომ იგი იწყებს 300 ტანკის დამზადებას ინგლისისათვის. ტანკების ტიპები არ არის აღნიშნული.

გენერალ პაუნოლის ჩასვლა საფრანგეთში

ლონდონი, 8 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ საფრანგეთში ჩავიდა ინგლისის საექსპედიციო ძალთა მთავარსარდლის გენერალ ჰორტის შტაბის უფროსი, გენერალ - ლეიტენანტი პაუნოლი, რომელიც მოლაპარაკებას გამართავს გენერალ ვეიგანთან და გენერალ ჟორჟთან.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იტალიის პოზიციის შესახებ

ნიუ-იორკი, 8 ივნისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს გადმოცემით, კარგად ინფორმირებული წრეები ამტკიცებენ, რომ იტალიის საომარი მოქმედება, ალბათ, 13 ან 14 ივნისს ღამით დაიწყება. მუსოლინი ამის შესახებ განცხადებით გამოვა მას შემდეგ, რაც იტალია აქტიურ მოქმედებას შეუდგება. ჟურნალი „რელიაციონი ინტერნაციონალი" სწერს: „ჩვენი ხალხი დგას უდიდესი ამბების წინაშე უმაღლესი დამოუკიდებლობისათვის ომის წინაშე".

ნიუ-იორკი, 8 ივნისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, ხელისუფალთა განკარგულებით დახურულია ყველა მუზეუმი და სურათების გალერეა. რომიდან გაიტანეს ისტორიული ღირებულებანი.

იტალიის ფაშისტურ წრეებში აცხადებენ, რომ 10 ივნისს მუსოლინი წარმოსთქვამს სიტყვას, რომლის დროსაც „წამოაყენებს თავის მშვიდობიანობის პირობებს ან ომს გამოაცხადებს".

ალექსანდრიის ევაკუაცია

ბერლინი, 8 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ დაიწყო ქალაქ ალექსანდრიის (ეგვიპტე) ევაკუაცია.

ინგლისის სასამართლომ ინდუს სინგს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა

ლონდონი, 8 ივნისი (საკდესი). 4 ივნისს ლონდონში სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს ინდუს უდჰამ სინგს, რომელსაც ბრალად ედება ინდოეთის პროვინციის — პენჯაბის ყოფილ გუბერნატორ ოდვაიერის მოკვლა. როგორც უკვე გამოქვეყნებული იყო, ოდვაიერი რევოლვერით მოჰკლეს ა. წ. 13 მარტს ლონდონში აღმოსავლეთ-ინდოეთის ასოციაციის კრებაზე. ამასთან დაკავშირებით, დააპატიმრეს ერთი ინდუსი, რომელმაც თავისთავს პირველად აზიდი უწოდა.

სინგი უარყოფდა, რომ მას განზრახვა ჰქონდა მოეკლა ოდვაიერი, მაგრამ განაცხადა, რომ მას უნდოდა პროტესტი განეცხადებინა იმ მკაცრი მოპყრობისათვის, რასაც ინგლისის ხელისუფლებნი ინდოეთში იჩენენ ინდუსებისადმი. მან აგრეთვე გაიხსენა, რომ 1919 წელს ამრიტსარში ინდუსები დახვრიტეს, რის ინიციატორიც იყო პენჯაბის პროვინციის მაშინდელი გუბერნატორი ოდვაიერი. სინგის სიტყვით, ამ დახვრეტამ მასში ბრიტანეთის ბატონებისადმი ზიზღი გამოიწვია.

გადმოგვცემენ, რომ განაჩენის კითხვის დროს სინგი ადგილიდან წამოხტა, მუშტი დაჰკრა საბრალდებულო სკამის მოაჯირს და მოსამართლეს შეაფურთხა.

გასამართლებამდე სინგი 42 დღის განმავლობაში შიმშილობდა.

იტალიაში ჩავიდნენ გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელები

ნიუ-იორკი, 9 ივნისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო რომიდან იუწყება, რომ კრემონაში (იტალია) ჩავიდნენ ჰესი და გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის სხვა ხელმძღვანელები. კრემონიდან ისინი მიემგზავრებიან რომს, სადაც შეხვდებიან მუსოლინისა და ჩიანოს.

მზადება აკაკი წერეთლის იუბილესათვის

ჭიათურა

(„კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

მარგანეცის ქარხანა-მაღაროებში სკოლებსა და კოლმეურნეობებში დიდი ინტერესით ტარდება მუშაობა აკაკი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავის შესრულების აღსანიშნავად.

რაიონის ყველა სკოლაში ჩატარდა საიუბილეო საღამოები მოწაფეთა და მშობლების მონაწილეობით. საღამოებზე მრავალმა ბავშვმა წაიკითხა აკაკისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი. ქალაქის პირველ და მეორე საშუალო სკოლაში მოწაფეებისაგან შემდგარმა მეჰონგურეთა ანსამბლებმა საუკეთესოდ შეასრულეს აკაკის ლექსები: „სულიკო", „ციცინათელა", „იმერული ნანა".

წარმოებებსა და კოლმეურნეობებში ტარდება მოხსენებები აკაკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

აკაკი წერეთლის ცხოვრება და მოღვაწეობა დიდ ინტერესს იწვევს მაღაროს მუშებში. ჭიათურაში ბევრ მუშას ახსოვს ტბილი მგოსანი, კარგად ახსოვთ აგრეთვე აკაკი წერეთლის ღვაწლი ჭიათურის მარგანეცის მოპოვებისა და დამუშავების საქმეში.

ძველი მუშა, ორდენოსანი სერგო კაპანაძე გვიამბობს: „სოფ. წირქვალში აკაკი წერეთელმა გაიარა ფარსადან გაფრინდაშვილის ყანაში. აკაკი გააკვირვა შავი მიწის ბელტებმა, ერთი ნატეხი კიდეც შეახვია და წაიღო. ერთი წლის შემდეგ ამ ყანაში აკაკის 2 უცხო კაცი მოჰყვა. მათ გლეხების დახმარებით შავმიწიანი ბექი ჩამოსჭრეს. არ გაუვლია დიდ ხანს, რომ ამ ადგილიდან მარგანეცის გაზიდვა დაიწყეს და ახლა აქ ორჯონიკიძის სახელობის მაღაროებია"-ო.

„ის ადგილები, სადაც აკაკიმ შავი ქვა აღმოაჩინა,—იგონებს იაკობ ცუცქირიძე,— ადგილობრივ გლეხებს ეკავათ სახნავ-სათესად, გლეხებს იგი შესყიდული ჰქონდათ თავად აბაშიძეებისა და წერეთლებისაგან. პირველ ხანებში თავადები აკაკის სეირს უყურებდნენ, მაგრამ როცა მადნის შესასყიდად მრავალი ვაჭარი მოვიდა, თავადებმა საჩივარი აღძრეს: გლეხებს მიწა მივყიდეთ და არა მიწის გულიო. ბრძოლა თავადებმა მოიგეს. გლეხებს მადნიანი მიწები ჩამოერთვათ".

აკაკის შესახებ მოგონებებს და საუბრებს დიდი ინტერესით ისმენენ მარგანეცის ქალაქის მშრომელები.

რაიონის ყველა ბიბლიოთეკაში მოწყობილია აკაკის ლიტერატურისა და ფოტოსურათების გამოფენა.

მოკლე დროში ჩატარდება საიუბილეო საღამო ჭიათურის სახელმწიფო თეატრში. მშრომელები საზეიმო სხდომის შემდეგ ნახავენ აკაკის ცნობილ პიესას „პატარა კახს".

ლ. ლ. ლაძე

მახარაძე

(„კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

მახარაძის რაიონში ამჟამად სერიოზული მუშაობა სწარმოებს უკვდავი ქართველი მგოსნის—აკაკი წერეთლის იუბილესათვის მოსამზადებლად.

რაიონში გამოყოფილია იუბილეს ჩამტარებელი კომისია, რომელმაც უკვე შეიმუშავა იუბილეს ჩატარების გეგმა.

გეგმის მიხედვით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ფაბრიკებსა, სკოლებსა და წარმოება - დაწესებულებებში ჩატარდა მოხსენებები აკაკის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ.

ივნისში რაიონის ცენტრში ჩატარდება დიდი საიუბილეო საღამო, რომელზედაც ქართულ და რუსულ ენებზე წაკითხული იქნება მოხსენება აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. აღნიშნულ საღამოზე აკაკისადმი მიძღვნილ ლექსებს წაიკითხავენ რაიონის დამწყები მწერლები: ე. ბასილაიშვილი, ან. ვაშალომიძე, ა. ხომერიკი და ი. სირაძე.

საიუბილეო კომისიამ თხოვნით მიმართა საქართველოს მწერალთა კავშირს, რათა საიუბილეო საღამოზე დასასწრებლად მოავლინოს მწერალთა ჯგუფი.

მახარაძის თეატრი ამჟამად ამზადებს აკაკის „პატარა კახს", რომელიც მიეძღვნება დიდი მგოსნის—აკაკის იუბილეს.

ვ. ჯაყელი

„ევგენი ონეგინის" საიუბილეო დადგმა

გენიალური რუსი კომპოზიტორის პ. ჩაიკოვსკის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი დასადგმელად ამზადებს პ. ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინს".

ოპერას სდგამს რესპ. სახ. არტისტი **ალ. წუწუნავა.** მხატვრული გაფორმება ეკუთვნის პროფ. ი. შარლემანს, დირიჟორობს შ. აზმაიფარაშვილი.

მთავარ პარტიებს მღერიან: ონეგინი — პ. ამირანაშვილი, დ. გამრეკელი, გ. ვენაძე, გ. მარგიევი, ა. ბუთხუზი; ტატიანა—ე. სოხაძე, ე. გოსტენინა, ქ. შათირიშვილი. ნ. ფირალოვა; ლენსკი—მ. ყვარელაშვილი, ნ. ბოკუჩავა, ვ. გერმესაშვილი; ოლღა—ა. სტეპანიანი, ციბაძე, თ. მდივანი; გრემინ—ვ. შარაშიძე, გ. გრიგორაშვილი, გ. გოგიაძე; ძიძა—მ. სუხიაშვილი, ე. ბელქანია, ვ. ქარსელი; ლარინა—ს. ბოვა, გ. შმალცელი, ბ. ნეიმანი; ტრიკე—ზ. სვანიძე, ი. მოლჩანოვი, გ. ფირუმოვი.

ცეკვები დადგმულია ბალეტმეისტერ ვ. ლიტვინენკოს მიერ.

ოპერა ნაჩვენები იქნება ივნისის შუა რიცხვებში.

„ნაზიბროლა"

ახალი ქართული ბალეტი.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სამხატვრო კოლეგიამ განიხილა და მოიწონა რესპ. დამსახურებულ არტისტის ორდენოსან ლ. გვარამაძის ლიბრეტო ბალეტისათვის „ნაზიბროლა".

ლიბრეტოს თემაა ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ და ქალის როლი ამ ბრძოლაში. მთავარი გმირი ნაზიბროლა ისტორიაში ცნობილი ქალების—მაია წავკისელის, თინა წყნეთელის, თამარ ვაშლოვანელის განზოგადოებულ მხატვრულ სახეს წარმოადგენს.

ნაზიბროლა იბრძვის უცხოელთა ბატონობისა და XVII ს. საქართველოში არსებული სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ. ეს ხაზი ლიბრეტოში დამაჯერებლად არის დაკავშირებული სასიყვარულო ფაბულასთან, რომელიც, არ ჩრდილავს რა სიუჟეტის სოციალურ მხარეს, მხარდამხარ მისდევს ნამდვილ ჰეროიკას.

ლიბრეტოში მოხერხებულად არის გამოყენებული ძველი ქართული ხალხური ცეკვები: ლახტის ცემა, დავლური, ყაბახობა, ძაბრა, ფერხული და სხვ.

მუსიკას ბალეტისათვის სწერს კომპოზიტორი ა. კერესელიძე.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში

10 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში შესდგება ამხ. ს. ქუთათელაძის ლექცია რუსულ ენაზე: „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია".

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილება სთხოვს ამხ. სევერიან ეფრემის-ძე **ჩიტორელიძეს** და ბიძინა დიმიტრის-ძე **ჩხობაძეს** 3 დღის განმავლობაში გამოცხადდნენ ამხ. **გორგიაშვილთან** (ძერჟინსკის ქ. № 8, მეორე სართული).

საქ. კ. პ. (ბ) ფოთის ქალაქკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2844613, გაცემული აბესალომ მარკოზის-ძე **ნებიერიძის სახელზე,** დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: **სახოპერა** — „ტრავიატა", **რუსთაველის სახელობის** — „ბოგდან ხმელნიცკი", **მარჯანიშვილის** სახელობის — „ბედნიერება" (პრემიერა), **მოზარდ მაყურებელთა** — „პატარა კახი", **საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი**—ესტრადის მსახიობთა საკავშირო კონკურსის ლაურეატის ქეთო ჯაფარიძის უკანასკნელი საღამო, **ღია ესტრადა** — საღამო-კონცერტი.

კინოებში: **რუსთაველის სახ.** — „მანერჰაიმის ხაზი", **ოქტომბერი** — „მანერჰაიმის ხაზი", **დამკვრელი** (ზაფხულის)—„მანერჰაიმის ხაზი", **დამკვრელი** (ზამთრის) — „მანერჰაიმის ხაზი", **კომკავშირელი** (ზაფხულის) — „მანერჰაიმის ხაზი", **კომკავშირელი** (ზამთრის) — „დაგვიანებული სასიძო", **ლუქსემბურგის სახ.** — „დაგვიანებული სასიძო", **კომინტერნი** — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი", **26 კომ. სახ.** (ზაფხულის) — „დაგვიანებული სასიძო", **26 კომ. სახ.** (ზამთრის)—„დაგვიანებული სასიძო", **ორჯონიკიძის სახ. პარკი** — „კენდლილიარ", **ახალი ამბები** — „რედაქციის დღე".

დღისით—**რუსთაველის სახ.** — „ახალგაზრდობა მოდის", **დამკვრელი** — „ნამდვილი მეგობარი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი,
პლეხანოვის პროსპ. 123. ტელ. 3-18-50

საზაფხულო თეატრი
10 ივნისს
ესტრადის მსახიობთა საკავშირო
კონკურსის ლაურეატის
ქეთო ჯაფარიძის
უკანასკნელი საღამო
როიალის პარტიას შეასრულებს
კომპოზ. ს. ბაზოვი.
დასაწყისი 9 ს. 30 წ.
დარჩენილი ბილეთები იყიდება სალაროში. სალარო ღიაა დილის 11-დან 3 საათამდე. საღ. 6-დან 10 საათამდე

11, 12, 13 ივნისს
დიდი სატრაქციონო წარმოდგენა
კატი ელვა
ნიკოლოზ გლეიზაროვი
(ტრანსფორმაცია, ილუზია, ჟონგლიაჟი, ანტიპოდი)
მონაწილეობენ
2 ველტონსი ბლაჟკოვა და ბუსინი
(აკრობატები) (სკეტჩი)
ფ. რუსლოვსკაია ზ. შუხი
(საეჭრო სიმღერები) (ქსილოფონი)
როიალის პარტიას შეასრულებს
მ. ვოლოვიჩი.

ღია ესტრადაზე ყოველდღე საღამო-კონცერტი დასაწყისი 10 საათზე
ღია ესტრადაზე შესვლა ბაღის შესასვლელი ბილეთებით.
ბაღში ჯაზ-ორკესტრი ამდურის ხელმძღვანელობით. ბაღში იყიდება ლუდი.

ქუთაისის სახელმწიფო თეატრი
1939-40 წ. წ. სეზონი
10, 11 და 14 ივნისს წარმოდგენა № 237—238—239
პრემიერა
აკაკი წერეთელი
პატარა კახი
ისტორიული დრამა 5 მოქ.
დადგმა გ. სულიაშვილისა, მხატვარი ს. ნადარეიშვილი, კომპოზიტორი თ. ვახვახიშვილი, დირიჟორი, გ. მარჯანიშვილი, რეჟისორის თანაშემწე მ. შალამბერიძე.
მორიგი პრემიერა: პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი"
6717 დირექცია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი
აცხადებს,

რომ **1940 წ. 25 ივნისს, დღის 3 საათზე,** სოც. ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12) დანიშნულია სამედ. ინსტ. საბჭოს ღია სხდომა, რომელზედაც რკ გზ. საავადმყ. უროლოგიური განყოფ. გამგე ექ. **ზაქარია ყაზარის-ძე აბასოვი,** მედ. მეცნ. კანდ. ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„Травматические повреждения почек и мочевых путей".**

ოფ. ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ. **ერისთავი** და დოც. **გაჩეჩილაძე.**

27 ივნისს, საღ. 9 საათზე, იმავე აუდიტორიაში, იმავე ხარისხის მოსაპოვებლად სუხუმის საავადმყოფოს ქირურგი **კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე კაკუბავა** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„მასალები ხერხემლის დახურული ტრავმული დაზიანების საკითხისათვის".**

ოფ. ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ. **ერისთავი** და მედ. დოქტ. **მ. ჩაჩავა.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს მედინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, ლუნაჩარსკის ქ. № 12.

587 დირექცია.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი აცხადებს, რომ

ა. წ. 17 ივნისს საღ. 7 საათზე, აუდ. № 103 (უნივერსიტეტის მთავარი შენობა, მარის ქ. № 1) ეკონომიური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე დისერტაციას დაიცავენ:

ა. ი. ფანცხავა—ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე — **„წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის და მისი მოსპობა".**
ოფიციალური ოპონენტები: პროფ. **გ. ნ. გეხტმანი.**
პროფ. **ს. ბერაძე.**

ლ. ა. კარბელაშვილი—ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე—**„მეხილეობა შიდა ქართლში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში".**
ოფიციალური ოპონენტები: პროფ. **გ. ნ. გეხტმანი.**
პროფ. **კ. მეგრელიძე.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო
51 უნივერსიტეტის რექტორი **დ. ყიფშიძე.**

შვილები ქეტა, ლილი, ძმები ვასილ, ალიოშა ოჯახით იუწყებიან
გოგოლა კონსტანტინეს-ასულ
შარაშიძე-სვანიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი ბათუმში 10/VI. ტელმანის, 52, დაკრძალვა 11/VI. 6729

ბიძები არსენ, შალვა, ბიცოლები თამარ, როზა შვილებით ლელიკოთი, ვახტანგით, ბიცოლა ჰუჰულა ქავთარაძეები იუწყებიან
ანგელინა (კიკუ) ანდროს-ასულ
ხოშტარია-არშბას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12/VI, ქ. ცხაკაიაში. 6731

მე-81 სკოლის პედკოლექტივი იუწყება ამავე სკოლის მასწავლებლის ნუცა ახვლედიანის დის
კატუშა ახვლედიანის
გარდაცვალებას. 6697

მარიამი, ჟორა, ვარა მუმლაძეები, ვ. დონდოაშვილი ცოლშვილით, ი. ოკონოვი ცოლით მერით, მ. თანდილაშვილი და ს. ასლამაზიშვილი ცოლშვილით მწუხარებით იუწყებიან სიძის
მიშა ტრიფონის-ძე ბარაბაძის
უდროოდ გარდაცვალებას.

ლიმმანტრესტის თანამშრომლები იუწყებიან კოკი ანანიაშვილის მამის
დავით ანანიაშვილის
გარდაცვალებას. 6720

მეუღლე ბაბილინა ჯიშკარიანი, სიმამრი ალექსანდრე მხეიძე შვილებით, კალისტრატე კვიტაშვილი ოჯახით იუწყებიან, რომ 12/VI 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
ილია ალექსის-ძე **ჯიშკარიანის**
სამოქ. პანაშვიდი. 6723

ქალ. I საავადმყოფოს ქირურგიული და უროლოგიური კლინიკის გამგე პროფესორი წულუკიძე და კლინიკის თანამშრომელი ექიმები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე კლინიკის დოცენტ არშბას მისი მეუღლის
ანგელინა არშბას
გარდაცვალების გამო. 6726

დედა ანეტა, ძმა ჟორა, რძალი ლიდა კახიანები, მარიამ ნაცვლიშვილი იუწყებიან
მარო თედორეს-ასულ **კახიანის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11/VI 8 ს. ფოთის, 30, გამოსვენება 12/VI 6 ს. კუკიის სასაფლაოზე. 6725

ქმარი ანდრო, მშობლები ოლა, სიკო, შვილები ნელი, ცაცა იუწყებიან, რომ 12/VI 1 ს. კუკიის სასაფლაოზე შესდგება
ლიზიკო კონსტანტინეს-ასულ
გოცირიძე-ჩიქოვანის
სამოქალაქო პანაშვიდი. 6706

დედა ნატაშა, მამიდები თეოლინე, კატო, და თამარ კასაბაშვილისა შვილებით გოგით, გულიკოთი იუწყებიან, 12/VI 2 ს. ქ. წულუკიძეში დანიშნულია
სერგო (ბუხუ) სიმონის-ძე ბარქაიას
პანაშვიდი. 6714

მეუღლე ელიკო, შვილი ანზორ, მშობლები ტრიფონ, ნინო, ძმა ლეო, რძალი კატო, და ელიკო იუწყებიან
მიშა ბარაბაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 10/VI 7 ს. გამოსვენება 11/VI 6 ს. ხევსურეთის, 10. 6716

მშობლები ფედო, ანდრო, ქმარი სოკრატ შვილით მამულით, ძმა დავით ცოლშვილით, და ვენერა იუწყებიან
კიკუ ანდროს-ასულ ხოშტარია-არშბას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12/VI, ცხაკაიაში. 6715

ტატულია ჩაჩიბაია, ანიკო ახობაძე, ქსემიდა კალანდაძე, მარო ვაშაკიძე, ნუცა ქიქოძე, ნუცა სვანიძე იუწყებიან ნუცა ახვლედიანის დის
კატუშა აკაკის-ასულ ახვლედიანი-თაბაგარის
გარდაცვალებას. 6718

მეუღლე მიხა, შვილები ვალერია, ტანია თოფურიძეები იუწყებიან
თეოს
გარდაცვალებას. დაკრძალვა 11/VI ს. სეფიეთში. 6719

ძმები სოლომონ, ბაგრატ, რძლები მარიამ, პელაგია, გუგული, ძმისწულები კუკიკო, ნათელა, მიშიკო, ნუნუ ქუთათელაძეები იუწყებიან
ანეტას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12/VI ქუთაისში, არხის, 6. 6721

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—21—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. მთავლიტის რწმუნებული ა—1438